

კანა კალაქა:

2


ქალიან ენიუვნელოვანია „სამუბლოს ღალატის“ მუხლის აღგენა!



3

აღსანიშნავი

ქაღლი ყაფს, ქარავენი მიღის...



ილია II მრევლს მიმართავს

მარხვა სინაულისა და აღდგომა სინარულისა


12



5

ინესა მერაბიშვილი — ბრიტანეთისა და საქართველოს ეროვნული საბანკურის სადარაჯოვა

თურქები ომი




ქართველი მებრძობი რუსეთ-თურქეთის ომში

მოსკოვი მესამე რომია. ამით რუსეთი მართლმადიდებელი სამყაროს ღიღარად ახსაღებდა თავს. ეკატერინე მეორიდან დაწყებული, რუსეთის ყველა იმპერატორი სტამბოლის დაპყრობასა და მის კონსტანტინოპოლად გადაქმნაზე ოცნებობდა. რუსეთის ასეთი განწყობა კი ოსმალეთის იმპერიასთან გარდაუვალ ჯახს იწვევდა.

8

6

აკაკი ხორავას სენსაციური ჩვენებები



დადუნ თურქაძე (უბლიცისტური პოემა) დასასრული და დასაწყისი...

9



ოპოზიციამ საკუთარი თავის ჭამა დაიწყო

4



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძის ოფიციალური ვიზიტი უზბეკეთის რესპუბლიკაში



ტაშკენტის ისლამ კარიმოვის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს მთავრობის მეთაურს უზბეკეთის პრემიერ-მინისტრი აბდულა არიპოვი, ვიცე-პრემიერი ჰამიდ ხოჯაევი და ტაშკენტის მერი შავკატ შავკატოვი დახვდნენ. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა უზბეკეთის რესპუბლიკის

პრემიერ-მინისტრ შავკატ შავკატოვთან, პრემიერ-მინისტრ აბდულა არიპოვთან, ასევე საკანონმდებლო ორგანოს საკანონმდებლო პალატის სპიკერსა და სენატის თავმჯდომარესთან.


ტაშკენტში ორი ქვეყნის მთავრობის წევრების მონაწილეობით საქართველოსა და უზბეკეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომა გაიმართება. საქართველოს პრემიერ-მინისტრი უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან ერთად ეწვია, რომლის შემადგენლობაში პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლეონიდა ღვინია, საგარეო საქმეთა მინისტრი მამუკა მათაბრაძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ჯანაშია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან ლომიძე, სპორტის მინისტრი მამუკა მათაბრაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჯიანი არიან.

კახა კალაძე: კალიან მნიშვნელოვანია „სამშობლოს ღალატის“ მუხლის აღება!

სანამ წინა ხელისუფლება 2008 წლის მოლაპატრონე ქმედებას ჩაიდენდა, რამდენიმე ხნით ადრე გააუქმა კანონი სამშობლოს ღალატის შესახებ. ხომ წარმოგიდგინათ, უკვე რა ფიქრები ჰქონდათ და რა ნაბიჯებს ღებდნენ! – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა მედიასთან შესაბამისი კითხვის საპასუხოდ ისაუბრა.

კახა კალაძის თქმით, სისხლის სამართლის კოდექსში „სამშობლოს ღალატის“ მუხლის დაბრუნება მნიშვნელოვანია, რათა 2008 წლის ავგისტოს ქმედებებს შესაბამისი გამოძიება მოჰყვეს. „ასევე, აღნიშნული მუხლის აღდგენა მნიშვნელოვანია, რომ თუნდაც დაუბრუნდეთ 2008 წლის ავგისტოს ომს, მზღდეს გამოძიება. ყველა კითხვას, რომელიც საზოგადოებაში არსებობს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ქვეყანას უღალატა, დაკარგა ტერიტორიები თავისი უკუნიური ქმედებების შედეგად, გაეცეს შესაბამისი პასუხები. მათი ქმედებები გააზრებული იყო, ძალიან კარგად იცოდნენ, რას აკეთებდნენ, ვის ინტერესს ემსახურებოდნენ, ვინ იღებდა ამის უკან“...

ახალი არჩევნების ჩატარება ჩვეულებრივი სისულელე და აბსურდია – თუ ვინმეს რამის თავი აქვს, ავგარ არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თბილისის მერი კახა კალაძე ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას გამოიხიბავს და აცხადებს, რომ მომდევნო არჩევნები კანონით დადგენილ ვადაში ჩატარდება. ამის შესახებ მერმა ჟურნალისტებს შესაბამისი კითხვის პასუხად განუცხადა. „ეს ჩვეულებრივი სისულელე და აბსურდია, შემოიძლია დარწმუნებით გითხრაო, 100%-ით. რამდენიმე თვეში ჩაინიშნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელსაც საქართველოს პრემიერი მხივს და ყველაფერი დაინიშნავს. თუ ვინმეს რამის თავი



ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, ეკონომიკური განვითარებისთვის იყო მიზნულად. რა თქმა უნდა, მშვიდობა არ აქვს ალტერნატივა“... მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დადგა იქ, სადაც ქვეყანას და მის მომავალს სჭირდებოდა. „ქვეყნის გარეთ არსებობენ ძალები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ამ უსამშობლო რადიკალებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ, რა განცხადებებში გააკეთონ, რა არის მათი მთავარი მიზანი და მოტივაცია, როგორ დააზიანონ ქვეყანა, მშვიდობა. ეს ყველაფერი, რასაც ვხედავთ და ვხედავდით, იმართებოდა გარედან – პირდაპირ მიუთითებდა კეთილდღეობა, უზარმაზარი თანხები იხარჯებოდა ამ ყველაფერში, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა დადგა იქ, სადაც სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას და მის მომავალს“ – აღნიშნა თბილისის მერმა.

საქართველო სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ქვეყანა!



3 მარტს აზერბაიჯანის თავმჯდომარეობით სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის დისტანციური შეხვედრა გაიმართა. სუამ-ის წევრი სახელმწიფოების პარლამენტის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტების ერთობლივ სხდომაში, მიუროს სხდომაზე დაამტკიცეს დასკვნითი დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და სიტყვით გამოვიდნენ ასამბლეის შეხვედრაზე. როგორც კომიტეტზე სიტყვით გამოვიდნენ, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თორნიკე ჭეიშვილმა განაცხადა, სუამ-ის ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ძლიერი დარგობრივი თანამშრომლობის ხელშეწყობა ყოველთვის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, რადგან ის ხელს უწყობს საერთო შესაძლებლობების ძიებას და

ორმხრივ პროგრესს. მისივე თქმით, საჭიროა დიპლომატიის, ცოდნის და გამოცდილების გაცვლის და ახალი პროექტებისა და ინიციატივებისთვის პრიორიტეტის მინიჭება. თორნიკე ჭეიშვილის განცხადებით, სუამ-ის ფარგლებში ფართო შესაძლებლობები იკვეთება ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, ენერჯეტიკის და ტრანსპორტის მიმართულებით, რომლის განხორციელებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ეროვნულ პარლამენტებსაც. ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას თორნიკე ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო წლებში სუამ-ის რეგიონი მზარდი გამოწვევების წინაშე დგას, რაც საფრთხეს უქმნის წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მან ხაზი გაუსვა რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობას და დეკლარაციის გასაცხადების პრიორიტეტს, რომლებიც ამ მიმართულებით საქართველოს დღის წესრიგშია. სესიის ბოლოს ასამბლეამ მიიღო დასკვნითი დოკუმენტი – ასამბლეის კომუნიკე. ასამბლეის თავმჯდომარეობა აზერბაიჯანიდან საქართველომ ერთი წლით გადაიბარა.

ელისო ბოლქვაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრად ელისო ბოლქვაძე დაინიშნა. ამის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჭაძემ განაცხადა. „მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ახალი სამინისტროს ხელმძღვანელი, მინისტრი, ქალბატონი ელისო ბოლქვაძე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს. ქალბატონი ელისო ბოლქვაძის განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს მეათე მონვევის პარლამენტში. ის გახლდათ კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი. ასევე, ის გახლდათ „იუნესკოს“ მშვიდობის ელჩი. მას განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ასევე, პარიზის უმაღლეს სახელწოდებულ სკოლაში. ის გახლდათ დამფუძნებელი შავი ზღვის



საერთაშორისო ფესტივალის და დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით კულტურაში არაერთი პოზიტიური, დადებითი სიახლე გვექნება აჭარაში. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ მაია ხაჯიშვილს, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში კულტურის სფეროს ხელმძღვანელობდა. ქალბატონი მაია გააგრძელებს როგორც განათლებისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას...“

ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაცია დღეს იწყება!

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინიციატივით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის, ასევე სტუდენტთა საერთო კონკურსისათვის რეგისტრაცია 5 მარტს, 10:00 საათზე დაიწყება და 2 აპრილის 18:00 საათზე დასრულდება.



USAID-ის მხრიდან ფინანსდება 6 200 ქურნალისტი 30 ქვეყანაში, ასევე 700 პედაგოგისთვის!

საგონადობის ცნობილი გახდა, რომ თურმე USAID-ის მხრიდან ფინანსდება 6 200 ქურნალისტი 30 ქვეყანაში, ასევე 700 მედიორგანიზაცია და 300 ისეთი მედიორგანიზაცია, რომელიც თითქოს იყო არასამთავრობო ორგანიზაციის ფორმით ამა თუ იმ ქვეყნის, – განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვისა და საოქსფორდის ინტერნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე რატი იონათამიშვილმა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე, სადაც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა მიმდინარეობს. „გუშინ კიდევ ახალი, საინტერესო სიახლე გახდა ცნობილი მასკისგან, რომ USAID-სგან თითოეული მათგანის მიმართ იყო ერთი და იგივე მოთხოვნა – ეს არის სტრატეგიული დემოკრატიის პოლიტიკის გატარება. ის გამოწვევები, რაც არის, არის ძალიან რეალური

და როდესაც გარედან ფინანსებით ხდება მედიის გაკონტროლება, ეს საბოლოო ჯამში ხმარდება არა ადგილობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, არამედ კონკრეტულად მანიპულაციური დღის წესრიგის შესაქმნელად გამოიყენება. დღე არ გავიდოდა, სხვადასხვა მედიასაშუალებებში რომ არ გასულიყო დემინგორმატული მტკიცებითი ფორმით“, – აღნიშნა რატი იონათამიშვილმა. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, კანონპროექტის მიღება განაპირობებს მედიამომსახურების სფეროში ხარისხიანი და ობიექტური მაუწყებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევისთვის მედიამომსახურების ბრტანული მოდელის საქართველოს საკანონმდებლო აქტში დამკვიდრების მიზნით განსახორციელებელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა.

ქალღმერთი ყვეს, ქარაპანი მიღის...



25 თებერვალი რა ბედუკუდმართი დღეც არის საქართველოს ისტორიაში, საყოვეთაოდაა ცნობილი. წელს კი ისიც დაემატა, რომ ამ დღეს მთელი ქვეყანა კინალამ გადავლისა თოვლმა და ყინვამ. სტიქიამ, მოგვსენებათ, ლამის დაგვიკარგა გურია-აჭარა. და იმის მიუხედავად, რომ ამ საგანგებო მდგომარეობის გამო ობურგეტში ჩავიდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, სათავეში ჩაუდგა საგანგებო შტაბს და გასაჭირში ჩავარდნილ მხარეს მიაშველა საჭარისო ნაწილები თავისი ტექნიკით და სხვა უწყებები, რუსთაველზე შეკრებილი საპროტესტო აქციის გასამხნეველად „ტვ პირველმა“ საშინელი სურათი დაგვიხატა: არ არის დენი, გაზი, გზა, წყალი, საკვები... რაც მთავარია, ხელისუფლება არაფერს აკეთებს, გურია უპატრონოდ არის მიტოვებული, ხომ შეიძლება ჩასულიყვნენ, ადგილზე ენახათ შექმნილი მდგომარეობა, ხელი გამოეღოთო. ისიც კი ითქვა, რომელიღაც სოფელში 107 წლის ქალბატონი გარდაიცვალა, რაც ხელისუფლების სინდისზე უნდა იყოსო(!)...

ამასობაში თბილისში აქციაზე ჯიუტად იდგა ყავლგასული, წითელპალტოიანი პრეზიდენტი და აეროპორტში ერთი კვირის წინათ კვერცხების დაშენით და „მოლაღატის“, „გამყიდველის“ ძახილით მოჭიმულ ნერვებს იმშვიდებდა, შეკრებილთ აცნობებდა პარტიათა რეგულაციური ცენტრის და საკუთარი გონების ნაპურს, თუ როგორ უნდა დაამხო მალე, აგერ, დღესწორს, ოლიგარქის რუსული დიქტატორული რეჟიმი და რომ ის, როგორც მთავარსარდალი, ყოველთვის, მუდამ, მარადუამს იქნება თავის ხალხთან.

უუ-ო! იკვილა ხალხმა, მაგრამ ეს ის არ იყო, რო გვახსოვს... ეს ქალბატონმა სალომემაც იგრძნო და სახე ჩაუჟამდა.

რაც შეეხება კვერცხებით დახვედრას თბილისის აეროპორტში მიუნხენის კოფ-ინაგინიდან დაბრუნებულ ქაპიტანდინო სალომე ზურაბიშვილისა და ქაპიტანი გიორგი გახანაძისთვის, ეს იყო გულწრფელი რეაქცია საგოგლოს დაგზავნის, ჩაგვების და ძირის გამოთხრისთვის, რაც მათ ჩაიდინეს იმ, გერმანიაში.

„ექსპრესის“ კვერცხებით დაჭრილი გულუბის გასამართლებლად განსაკუთრებით გამოიღო თავი ყოფილი პრეზიდენტის პირველმა ფრეილინამ (სეფექალმა) და ამჟამად მისმა სტატუს-დამამ ეკა ბესელიამ. მან პროკურატურაში შეტანილ სარჩელს თან დაურთო სამედიცინო კვლევის შედეგები იმის დასტურად, რომ ქ-ნ სალომეს კვერცხებით დაზიანება აღენიშნება, რომ ეს კვერცხებით გამოხატვის თავისუფლებას სცდება და სისხლის სამართლის დანაშაულია(!). ამავე ფორმით დაგმო ეს კვერცხმენა ნიკა გვარამიამ, ეს იყო თავდასხმა ლეგიტიმურ პრეზიდენტზე. მიუხედავად იმისა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ დიდმა ნიკამ ოპოზიციის მიერ

ხელისუფალთა მიმართ ნასროლ კვერცხებს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი აზრის გამოხატვის თავისუფლება უნდა.

გასული დღეების უმნიშვნელოვანეს მოვლენათაგან, რომელმაც, ერთადერთმა, დადებითი გავლენა იქონია ჩვენი ჩაუამბული დღეების გახალისებაზე, გამოირჩევა მზია ამალოზბლოს ისტორიული გადარჩევა, შეწყვეტა შიმშილობა და ამით გადაურჩინა თავი მომავალი რევოლუციისთვის! ამ ქალმა ორგანიზაციის მეთაურმა ჩაიდინა: პირველი ის, რომ შიმშილობა გამოაცხადა და ამით გამოაცოცხლა მინავლემული ოპოზიციური მოძრაობა, და მეორე – შიმშილობის შეწყვეტა, თორემ იდგა რეალური საშიშროება, რომ „მზია ამალოზბლოს“ ჩაენაცვლებინა „სალომე ზურაბიშვილმა“.

26 თებერვალს სალომე ზურაბიშვილმა გამოაქვეყნა წინა დღით აქციაზე გაუღებელი პოსტი წარწერით: „გეგმა – ახალი არჩევნები“. იგი 5 პუნქტს მოიცავს: 1. არჩევნების პირობების დანესება; 2. საარჩევნო კომისიებისა და დამკვირვებლების „ჭარის“ მომზადება; 3. საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით ახალი არჩევნების

გაყალბებისაგან დაცვა; 4. პოლიტიკურ ძალებს შორის კოორდინაცია ახალი არჩევნებისთვის; 5. ერთიანი საარჩევნო პროგრამა – „ქართული ქარტია“ და მისი პრიორიტეტები: პოლიტიკატივების გათავისუფლება, რუსული კანონების გაუქმება, სამართლიანი სასამართლოს აღდგენა.

„ძნოდ, ოცნებავ“, სალომე მოდის! თან მოდის ერთბაშად სამ თუ არა, ორსახონად მიხვ: სამი დღეში პრეზიდენტად, მთავრობის დამნიშვნელად, რეფორმატორ-ილუზიონისტად. რაც მთავარია, ეს ანტირუსი, ყოველივე რუსულის მოძულე ქალი გარდაისახება უმთავრეს რუსულ ფენომენად – „კაპჩი მესმერტნად“!

ამრიგად, წინ ახალი რევოლუციაა. აქეთ რომ სალომე ამ ამბავშია, იქით მისი ადიუტანტი ნიკა გვარამია იმუქრება. ახლახან ჩვენთვის კარგად ცნობილი ევროპარლამენტარ რასა იუკნევიჩიანესთან შეხვედრის შემდეგ, პირდაპირ იმუქრება, ახალ საბრძოლო მესიჯს აუღერებს, მუშაობა უნდა გაგრძელდეს ყველგან, უნდა გადავიდეთ პოლიტიკურ შეტევაზე.

ასეთ განცხადებებს მრავალი წელია ვისმენთ, ქვეყანა კი წინსვლასა და განვითარებას განაგრძობს.

ქალღმერთი ყვეს, ქარაპანი მიღის!

ახლა ქვეყნის გარეთ მოხდარ ამგებვეც დაავსელოთ სიტყვა, რადგან იქაური ნებისმიერი მნიშვნელოვანი ამბავი ჩვენთვისაც უპირატესია. აი, მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭომ, რომელსაც 15 ქვეყანა აკომპლექტებს, უკრაინაში რუსეთის შეჭრის სამ წლისთავთან დაკავშირებით მიიღო აშშ-ის მიერ შემუშავებული რეზოლუცია. გაეროს საიტზე გამოქვეყნებული პირველადი რეზოლუციის პროექტში მითითებულია, რომ საქართველო ამ რეზოლუციის თანაავტორია (თანასპონსორია).

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო მეორე რეზოლუციაც, რომელიც უკრაინის და ევროკავშირის მიერ იყო ინიცირებული და რომლის წინააღმდეგაც ხმა მისცეს რუსეთმა და აშშ-მ. რეზოლუციის პირველ ვარიანტში გამოყენებულია ნაკლებად მკაცრი ფორმულირებები უკრაინაში რუსეთის შეჭრასთან მიმართებით. რეზოლუცია „გლოვობს სიცოცხლის ტრაგიკულ დაკარგვას რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მსვლელობისას“, გამოდის ომის სწრაფი დასრულების და მდგრადი მშვიდობის დამყარების მოწოდებით. მასში არ არის ევროკავშირის და უკრაინის რეზოლუციის მთავარი მოთხოვნა, მოსკოვმა დაუყოვნებლივ და უპირო-

ბოდ გაიყვანოს მთელი თავისი ძალები უკრაინის ტერიტორიიდან.

ამასწინათ „ევროპული სამეზობლოს საბჭოს“ წევრმა ტერე ველანდომ გამოაქვეყნა პოსტი, სადაც წერს, რომ ევროპა უნდა იმოქმედოს და საქართველო არის გრძობის ველი (ალბათ, გენგა, გიტიხვლო, სალომე ზურაბიშვილის მიერ პრეზიდენტად დანიშნული მონოლოგიური საქართველოს საგრძობლო მოედნად გამოყენების შესახებ რუსეთის წინააღმდეგ). „2025 წლის მიუნხენის კონფერენცია საგანგებო სიტუაციის აღმოჩენა. აშშ აღარ არის ევროპის სადღო პარტნიორი, აშშ-ის ვიცა-პრეზიდენტმა ჯიდი ვენსმა განაცხადა, რომ რუსეთი ევროპის მთავარი საფრთხე არ არის, ევროპა უნდა იმოქმედოს და საქართველო არის საგრძობლო ველი, რომლიდანაც ჩვენ დავიწყებთ. რა არის ყველაზე სწრაფი და ეფექტური ნაბიჯი? საქართველოში ევროპის ხელმძღვანელობით დაგაწინააღმდეგოთ გამოაქვეყნა!.. ევროპა უნდა იმოქმედოს და ანა მხოლოდ შემოიფარგლოს რეაგირებით, მათ შორის იყოს ლიდერი საქართველოში, გააძლიეროს უკრაინა ეკონომიკურად, შექმნას ევროპის უსაფრთხოების ალიანსი აშშ-ის გარეშე. საქართველო ეს სავსელი შემთხვევაა. დრო არ იცდის, საქართველოში გამოაქვეყნა ევროპის ძლიერების გამოაქვეყნა“, – წერს ველანდი. ამისთვის კი საჭიროა „დაგანგებული სანქციები „ქართული ოცნების“ და მისი მომხრეების წინააღმდეგ“.

როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია!

ახლა მთელ ამ ნუმშიველი ერთი „გასახარი“ ინფორმაცია. რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური იუწყება, რომ ფლობს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ევროკავშირის „საქართველოს გათავისუფლება არ სურს“ და ნებისმიერ ფასად აპირებს ქვეყნის „დემოკრატიული ევრონიტეგრაციის გზაზე დაბრუნებას“. აპირებს ლიბერალური განცხადებების ნაცვლად პოლიტიკური გენოლის გაძლიერებას, პარალელურად კი საქართველოში ქუჩის საპროტესტო აქციების გაღვივებას, „დაგეგმილია, რომ ანტისამთავრობო გამოხატულების თითოეულ მონაწილეს დღიურად 120 ევრო დაუხადონ“. ასევე, „ევროკავშირის ჩინოვნიკებს დაევალებათ აქტიურად იმუშაონ ქართული ოპოზიციური პარტიების გაერთიანებაზე, მათ უნდა შექმნან ერთიანი მუშტი, რომელიც მიმართული იქნება მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ“ (სომ არ გეცნოთ ზურაბიშვილის გეგმის მეოთხე პუნქტი – „პოლიტიკურ ძალებს შორის კოორდინაცია ახალი არჩევნებისთვის“?).

რაც შეეხება იმას, რატომ არის ეს ინფორმაცია „გასახარი“? რატომ და, პირველი: როგორც ლენჯოდან კროლი კაკალი, ამკარად ჩანს, რომ რევოლუციამ საქართველოში ამ ეტაპზე ჩაყვინა და თუ ხელი არ ნააშველეს, მოგვამა ჭირი. ხელის ნაშველებად აქციაში მონაწილეობისთვის გასამრჯელოს გადახდა, ანუ დაქირავება შეჩვეული, ყველაზე სამარცხვინო ფორმა! და მეორე: ევროკავშირული ჩინოვნიკები ბოლომდე გააშიშვლებენ ოპოზიციური პარტიების მოლატურ ბუნებას და უნებურად გააიოლებენ მათ წინააღმდეგ ბრძოლას.

ასე რომ, წიგნი დიდი აზრები გვთქვამს.

ალექს
სალანდოვი



„ქროდა, ოცნება“, სალომე მოდის! თან მოდის ერთბაშად სამ თუ არა ორსახონად მიხვ: სამი დღეში პრეზიდენტად, მთავრობის დამნიშვნელად, რეფორმატორ-ილუზიონისტად. რაც მთავარია, ეს ანტირუსი, ყოველივე რუსულის მოძულე ქალი გარდაისახება უმთავრეს რუსულ ფენომენად – „კაპჩი გენსმერტნად“!



ოპოზიციამ საქუთარი თავის ჭაბა დაიწყო



მის მხრიდან ყველანაირი მხარდაჭერა, რაც გააჩნდათ. ამ ორთვიანმა ისტერიკამ და აზსურდის თეატრმა საკუთარი ამომრჩეველიც კი დააკარგვინა, ვინაიდან ვერ გაიგეს, რა პოლიტიკის გამტარებლები არიან. ყველამ დაინახა, რომ ეს ადამიანები ქვეყნის გამანადგურებლები არიან. ტრამპის მოსვლის შემდეგ კი ამერიკული დაფინანსება დაკარგეს და უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში დაჩაჩუნდა. ვინაიდან ამისა, განცხადებების დონეზე მხარდაჭერაც კი დაკარგეს. ამერიკაში ხომ მათთვის ყველა კარი დაიხურა და ვეროპაშიც ისეთი გაუგებრობაა, ეს ოპოზიციაც არავის ასოს. ზელენსკის ამ შიზოფრენიამ და არაადეკვატურმა ქცევამ, რომელიც მან თეთრ სახლში მოახწო, პრაქტიკულად, სერიოზული ამერიკელი პოლიტიკოსების უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. ეს ხალხი ჩვენს ოპოზიციასაც მხარში ედგა. თუმცა მათ ზელენსკის ეს საქციელი ამერიკის და ამერიკელი ხალხის შეურაცხყოფად შეაფასეს”, – ამბობს ახვლედიანი.

მისივე თქმით, ზელენსკის ამერიკაშივე უკვე ზურგი შეაქცევს და მისი საქციელი დემოკრატმა სენატორებმაც კი დაგმეს. ამიტომ ახვლედიანი ფიქრობს, რომ ჩვენი ოპოზიცია კომპასდაკარგულია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

„შევრბა ვეროპელმა ლიდერმა, რომელიც ომის ისტერიას და ზელენსკის მხარს უჭერდნენ, მართლა სერიოზულად დაამუხრუჭა. ყველა კარგად ხედება, რომ, თუკი ამერიკა თამაშიდან გავა, რისი დიდი ალბათობაც

ციაზე მოხვედრას. ისიც ვნახეთ, ზურაბიშვილი როგორ ჩავიდა ვაშინგტონში, ვითომ ისევ პრეზიდენტი იყო, როგორ მიიჭრა ტრამპთან და სცენები დადგა, თითქოს მისი მეგობარი იყო და საქართველოზე ელაპარაკა. ამ ყველაფერს გათი მედიები დიდი შივილ-ხივილით აშუაგდნენ, თუმცა ეს პირდაპირ წარმოაჩინდა გურაბიშვილის პოლიტიკურ უშვინრობას.

ერთი თვის წინ აღმოჩნდა, რომ ტრამპის ინაუგურაციაზე მოსახვედრად ცხვირპირს იმტვრევდა. აღარ იყო მის გარემოცვასთან ფოტო როგორ გადაეღო და სადმე როგორმე გამოეჭია. დღეს კი გამოდის და ტრამპის ლანდვას იწყებს, მის პოლიტიკას აკრიტიკებს, რითაც თავდაყირა აყენებს არამხოლოდ ტრამპის პოზიციას, არამედ საკუთარ პოზიციებსაც. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამ ქალბატონს არ შეიძლება ვინმე ენდოს”, – ამბობს ახვლედიანი.

მისივე თქმით, ოპოზიციამ საბოლოო ჯამში გაიანთრა, რომ ელექტორალურ, ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად იმ მხარდაჭერა განცხადებებსაც კარგავენ, რომელიც მაღალი დონის პოლიტიკოსებისგან მაინც კეთდებოდა. ასე რომ, ამ გზაკვალაზე ნელ ნელა ოპოზიციაში შიგნითვე დაიწყო დაპირისპირება.

„საქართველოს ხელისუფლებამ აქამდე აწარმოა ოპოზიციის და გეოპოლიტიკური გამოწვევის ვლანდინო გრაჟი. გვახსოვს, მთელი ეს დრო გათი პოლიტიკა რაიც იყო. ახლა კი ამერიკის და „ოცნების“ პოლიტიკა გუხს თანხვედრაშია. გაეროში აგრეთვე რეზოლუციის პირველი თანახმობის საქართველო იყო. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ასეთ დროს ხდება კომუნიკაცია, შემთხვევა, შესაბამისად, ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ

მას შემდეგ, რაც მთელმა მსოფლიომ ოვალურ კაბინეტში ვოლოდიმირ ზელენსკის, დონალდ ტრამპის და ჯეიდი ვენსის დაპირისპირება იხილა, ყველას მხოლოდ ერთი კითხვა გაუჩნდა – რა იქნება შემდეგ? გამონაკლისი ჩვენი, ქართველი რადიკალები აღმოჩნდნენ, რომელთაც ახლა არც კითხვებისთვის სცალიათ და მით უმეტეს, არც მისი პასუხებისთვის. როგორც აღმოჩნდა, სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც ერთი თვის წინ ცდილობდა ტრამპის ინაუგურაციაზე, როგორც მოქმედი პრეზიდენტი ისე წარედგინა თავი და ტრამპის გარემოცვასთან საერთო ენა ეპოვა, ამ დაპირისპირებაში მხარი ზელენსკის დაუჭირა. მან სოციალურ ქსელ X-ზე ტრამპის პოლიტიკა უკრაინის მიმართ ღიად გააკრიტიკა და აშშ-ს პრეზიდენტსა და ვიცე პრეზიდენტს დიპლომატია დაუწუნა, რამაც ოპოზიციის ნაწილი გააღიზიანა.



თეთრი სახლის სანდალური შეხვედრა ქართველ რადიკალებს შორის განხეთქილების ვაჟლი აღმოჩნდა...

„პირველად, როცა მომიწია, მოლაპარაკება დამოუკიდებლად გამეშარა, მრავალი წლის წინ, უფრო გამოცდილმა კოლეგამ მასწავლა საფუძვლები: „ნებისმიერი ნაბიჯის უფლება გაქვს, მაგრამ არასოდეს არასოდეს დაამცირო შენი კოლეგა“! უნდა იფიქრონ მათ, ვისაც სურს მშვიდობისმყოფელად აღიქვან“, – წერს სალომე ზურაბიშვილი.

მოგვიანებით ზურაბიშვილმა კიდევ ერთი შეტყობინება გამოაქვეყნა და პირადად ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართ:

„ისინი, ვისაც ესმით, რას ნიშნავს საკუთარი ტერიტორიის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვა – არა ერთხელ, არამედ არაერთხელ, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში – თქვენს მხარეს არიან, გატონო პრეზიდენტო ზელენსკი“.

„დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ დემონსტრაცია უფრო, როგორც პუტინის რუსეთის მერე, მეორე ადგილზე მყოფი ამერიკა გამოიყურება. მაშინ, როდესაც ყველას უფრო ძლიერი ამერიკა გვჭირდება უფრო ძლიერ ვეროპასთან ერთად. როგორც ჩანს, საბოლოოდ ყველანი ამ უკანასკნელის აღმოცენებას ვხედავთ“, – წერს კიდევ ერთ პოსტში ზურაბიშვილი.

ე.წ. ოპოზიციის ნაწილი კი ფიქრობს, რომ ზურაბიშვილის

უტაქტობა „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს, რომელიც ამ გეოპოლიტიკურ ჯახში აშშ-ს მხარეს იჭერს, რითაც ტრამპის ადმინისტრაციის კეთილგანწყობას მოიპოვებს.

„ახლის“ ლიდერმა 603პ მუღიამ გაღიზიანება ვერ დამალა, რასაც მალე კომენტარიც მოაყოლა: „კიდევ ერთხელ უნდა გავიაზროთ – არც სრული ფსონის დადება, აშშ-ში ინაუგურაციაზე მოლოდინებით წასვლა და ამ მოლოდინების ხალხში შექმნა გამოსავალი და არც ის, ინაუგურაციაზე მყოფი, დღეს რომ აკრიტიკებ. მიუხედავად ადმინისტრაციების ცვლილებისა, აშშ ყოველთვის იყო და არის საქართველოს პარტნიორი. ოპოზიციონერების შეფასებების დიდ ნაწილს ახლა „ოცნება“ თავისი ინტერესებისთვის იყენებს“, – წერს მეღია.

„გირჩის“ ლიდერმა იაგო ხვიამ ოპოზიცია, ენჯელო სექტორი და მათივე მედია საშუალებები, პრაქტიკულად, დიქტატურის მსახურებად მერაცხა: „მინდა, რადიკალიზაცია ვეცადო, გამოვისყიდო ის დანაშაული, რასაც ქართული ოპოზიცია და ენჯელოსექტორი ამ ხალხის წინაშე სჩადის, მათ შორის მედია სექტორი, რომელსაც რკინის ფარდა აქვს ჩამოფარებული საქართველოსთვის და არ ჰყვება სამყაროს მთავარი მოვლენების შესახებ, რასაც ეს ხალხი ახორციელებს“.



მედია პოლიტიკის ექსპერტი გიორგი ახვლედიანი ამბობს, რომ ჩვენი ოპოზიცია ძალიან კარგად ხედება, სამყაროში რამხედა ცვლილება და გადატრიალება ხდება, როგორ იცვლება მსოფლიო პოლიტიკა და რა ახალი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. თეთრ სახლში ზელენსკის, ტრამპის და ჯეიდის დაპირისპირებამ ეს ნათლად აჩვენა, მაგრამ ჩვენს ოპოზიციას ამის აღიარება უჭირს.

„ოპოზიცია ახლა კატასტროფულ მდგომარეობაშია. ჯერ ერთი, რომ დაკარგეს საზოგადო-

არსებობს, მაშინ ვეროპამ უნდა გადაიხადოს ამ ომის ფული. ეს კი ვეროპელს არ სურთ. არავის არ უნდა ისედაც ამ გართულებულ სიტუაციაში, რაც ომმა გამოიწვია, მთელი ტვირთი და პასუხისმგებლობა ვეროპას დააწვეს. ამიტომ ამ გაუგებრობაში ჩვენი ოპოზიცია აიჭრა და აღარ იცის, რა იზოლიალონ, რა პოლიტიკური პოზიცია დაიკავონ და ყოველდღიურად ჰარაკირს იკეთებენ.

გვახსოვს, ეს ჩვენი ვაი-ოპოზიცია და ე.წ. პრეზიდენტი, როგორ ცდილობდნენ ტრამპის ინაუგურა-

ტრამპის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციაში. ასევე, ძალიან პარგად იცინა საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ილონ მასკამ საქართველოში პარტიის მიერ დაგადებული მესამე გავრცელების მონათვლა საუკეთესო მაგალითად წარმოაჩინა. ოპოზიცია ხვდება, რომ მაგათი საქმე ძალიან ცუდად არის, მაგრამ წარმოდგენა არ აქვთ, რა ქნან“, – ამბობს ახვლედიანი.

ლიკა გერიკაშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ფრონტული აკადემიის აკადემიკოსს, ცნობილ ფილოლოგს, მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს ინესა მერაბიშვილს დღეს 75 წელი შეუსრულდა. იგი არის 20 წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, გამოქვეყნებული აქვს მრავალი პუბლიკაცია, მათ შორის ასობით მონოგრაფიული ნაშრომი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

1978 წელს პროფესორ მერი იანქოშვილის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინესა მერაბიშვილმა დაიწყო საკანდიდატო დისერტაცია ლინგვისტიკის ისეთ ახალ და მზარდ სფეროში, როგორც იმ ხანად გახლდათ სემასიოლოგია. ამ ნაშრომს გამორჩეულად მაღალი შეფასება მისცეს წამყვანმა სამეცნიერო წრეებმა, ხოლო აქ დაწყებული სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური მოდელის ძიებამ შემდგომში უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. ინესა მერაბიშვილის კონცეფციამ სიტყვაში ლინგვისტიკური ხატის გამოყოფისა და ახალი სემანტიკური სამკუთხედის შექმნის შესახებ ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ნიუ-იორკის წამყვანმა ლინგვისტიკურმა უნივერსიტეტმა ამ თეორიის ავტორი სარედაქციო საბჭოს წევრად აირჩია.

გემოლნიშნული კონცეფცია აისახა მის მიერ შექმნილ თარგმანის ახალ თეორიაში, რამაც ასევე დიდი აღიარება მოუტანა ქართველ მეცნიერს. საქართველოში ეს თეორია ასახულია მის სადოქტორო დისერტაციაში და მონოგრაფიებში „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ (2005) და „თარგმანი – კულტურათა დიალოგი“ (2005). დღეს ეს მონოგრაფიები სამაგიდო წიგნად იქცა მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციითა და თარგმანის საკითხებით დაინტერესებული წრეებისათვის.

აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც დიდი ინგლისელი პოეტის, ლორდ ბაირონის შემოქმედების მკვლევარი და უბადლო მთარგმნელი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მეცნიერმა ლორდ ბაირონის შემოქმედება მრავალი კუთხით შეინახა და ამ კვლევის შედეგები აღიარებულია უცხოელი ექსპერტების მიერ, ბაირონოლოგიაში მის ყველაზე დიდ აღმოჩენად მაინც შეიძლება მიჩნეული: 1995 წელს გრიტანეთის მუხრანის გიგლითაჰაში ინესა მერაბიშვილმა მი-აკვლია 1825 წელს გამოცემულ, მკვლევარ მიხეილ გორგაძის ბაირონისა, სადაც მრავალ ადგილად ბაირონის შესახებ ქართულ ტყვე ქალთან. ისტორიული ფაქტების გადამოწმის შედეგად დადგინდა ადგილი ეპიგრაფის ნაგებობისა. მეცნიერის წინააღმდეგ ახალი აღმოჩენა ნამოქმედია – თუ ეს აგავი სიგარეტია, ყოველივე აუცილებლად აისახებოდა ბაირონის შემოქმედებაში. ასე მოხდა და ქართველმა მკვლევარმა გააჟღერა უდიდესი ფილოლოგიური აღმოჩენა, როდესაც დადგინდა, რომ ორი საუკუნის განმავლობაში ბაირონის მოცული თარგმანები მიძღვნილი ლექსების სიკვლი შთაბრძნავდა ქართველი ქალით.



გრიტანეთისა და საქართველოს ეროვნული საგანძურის სადაცოჯო

რუსთაგელის, ბაირონისა და გალაკტიონის მესაიდუმლე

ის კვლავ ასახულია ი. მერაბიშვილის ქართულ და ინგლისურ პუბლიკაციებში, რომელთა შორის გამოჩენილია ინგლისურენოვანი მონოგრაფია „**Encounter with Lord Byron**“ – შესახებ ლორდ ბაირონთან (2014).

აი, რას წერს ამ წიგნის შესახებ ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი ნ. თიჯინი: „**ინესა მერაბიშვილის ეს მონოგრაფია ოქროს ასობით ჩაიწერა ბაირონის შესახებ ინგლისურ ენაში. ეს ინგლისურენოვანი წიგნი არა მხოლოდ უკეთესად გააჩვენა ბაირონს, არამედ საშუალებას მოგვცა, შევიხსენოთ მდიდარი ქართული კულტურა, ხოლო კულტურის საუბრითა შორის ეს წიგნი თავის კუთხით ადვილს დაიკვირვებს.**“

ბაირონის საერთაშორისო საზოგადოებაში ქართველი მეცნიერის პუბლიკაციებმა, საჯარო ლექციებმა და მოხსენებებმა, ბუნებრივია, გაზარდა ინტერესი საქართველოსადმი. 2014 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ბაირონის მე-40 საერთაშორისო ფორუმს, რომელსაც ეწვია ასობით დელეგატი მსოფლიოს ოცი ქვეყნიდან. მათ შორის იყვნენ ბაირონის პირდაპირი შთამომავლები, ლორდ ბაირონი და გრაფი ლიტონი. აი, რა მოგვწერა ბაირონის პირდაპირმა შთამომავალმა, გრაფმა ლიტონმა: „**პროფესორი მერაბიშვილი არის ის, ვისაც ჩვენ ყველაზე მეტად ვაფასებთ მისი მონოგრაფიების გამოცემის და იგი იმასწავლებს ასეთად იყოს აღიარებული თავის საზოგადოებაში.**“

მომდევნო 2015 წელს ვარშავის ბაირონის საერთაშორისო ფორუმზე ინესა მერაბიშვილი კვლავ დიდი სიახლით წარდგა: **ბაირონის შემოქმედების განხილვა ნუმეროლოგიის ასპექტში**, რაც სრული სიახლე იყო ბაირონოლოგიებისათვის.

მომდევნო წელს ის უკვე გაფართოებული საჯარო ლექციით მიიწვიეს ლონდონში. აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი კვლავ აგრძელებდა ამ საკითხის კვლევას და ინგლისურენოვანი სტატიის სახით კვლევის შედეგები დაბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენში (**Bulletin**) გასული წლის დეკემბრის ნომერში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აკადემიკოსი ი. მერაბიშვილის ღვაწლი გალაკტიონოლოგიაში. წინა საუკუნის 70-იან წლებში დაწყებული სემასიოლოგიურმა კვლევამ საშუალება მისცა მეცნიერს, ნათელი მოეფინა გალაკტიონის გაუხსნელი მიჩნეული უჩვეულო შესიტყვევებისათვის, რასაც მიჰქვამდა მისი მონოგრაფია „**გალაკტიონის ენიგმა**“

(2003). ინესა მერაბიშვილმა არანაკლებ წარმატებულად გასცა პასუხი კითხვას, თუ ვინ იყო პროტოტიპი მერისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლისა, რაც ერთხანად აისახა მონოგრაფიაში „**გალაკტიონის მერი**“ (2012).

მსგავსად ბაირონის შემოქმედებისა, გალაკტიონის სიღრმისეულმა კვლევამ თავი იჩინა ქართველი პოეტის ინგლისურ ენაზე თარგმანში. რაოდენ საამაყოა, რომ დასავლეთმა ინესა მერაბიშვილის თარგმანს უმაღლესი შეფასება მისცა, ხოლო დიდი ბრიტანეთი გალაკტიონს მხოლოდ ი. მერაბიშვილის თარგმანში გამოსცემს. აი, რას წერს ამ თარგმანის შესახებ ამერიკელი დიპლომატი რ.ჯ. გიბსონი:

„**აჰაჰაჰა, რომ ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისურ ენაში სიღრმისა და სინატივის წვლილი აღემატება იმას, ამ ენაზე გუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულ ადამიანსაც რომ ხელეწიფება. ინესა მერაბიშვილის, როგორც საქართველოს კულტურის უღრმესი დანაშაული ლოცვა-პურისთვისა მსოფლიოს პოეზიის თავის განხილვისთვის.**“

არანაკლებ შთამბეჭდავი ინგლისელი პოეტისა და დრამატურგის ლორდ მერევეორსის შეფასება: „**გალაკტიონის სახით ვიპოვე უმაღლესი რანგის პოეტი, რომელიც სულს ნაგებობს არისტოკრატი და სიჭყვიანის სასწაულებს შეაქმნა. გადლოგას ვუსდი ქალგატონ ინესას ამ რანგისავე კონკრეტული თარგმანისთვის.**“

სწორედ ლორდ მერევეორსის ინიციატივით ლონდონის ერთ-ერთ სასახლეში გალაკტიონის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბრილო საღამო გაიმართა, ეს საღამო გახსნა ბრიტანეთის პირველმა ელჩმა საქართველოში, ბატონმა სტივენ ნემმა, რომელმაც დამსწრეთ შემდეგი განუცხადა: „**ინესა მერაბიშვილი გასწავლია გრიტანულ-ქართული ურთიერთობების დიდი მოაგაგა. ამ მხრივ მის ღვაწლს მხოლოდ გარკვეული ურთიერთობის მიერ განაწილებს მისი საქართველოს მრავალი მკვლევარი და დაფასავალი შიგნით.**“

სწორედ ბრიტანელი დიპლომატების ინიციატივით გალაკტიონის მოხსენა გაიმართა სტრასბურგში, ევროპის საბჭოში, სადაც ქართველმა მეცნიერმა და მთარგმნელმა ორმოცდაშვიდი ქვეყნის ელჩსა და დიპლომატს გალაკტიონის წარუდგინა როგორც მე-20 საუკუნის მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნე. გამოჩენილად საყურადღებოა

ინესა მერაბიშვილის მუშაობა რუსთაველოლოგიაში, რამაც უკვე მრავალი სიახლე ამცნო მეცნიერულ წრეებს: საფუძვლიანად გაიყვანა პასუხი კითხვას, თუ როგორ გვმართებს „**ვეფხისტყაოსნის**“ ავტორის მოხსენიება – რუსთაველი თუ რუსთაველი;

პროლოგის მე-8 სტროფში გამოვლინდა კრიპტოგრამა, რაც გულისხმობს „**თამარის**“ ფარულ კოდს; სრულიად ახალი ხედვით გაიყვანა პასუხი კითხვას, თუ რატომ უწოდა რუსთაველმა თავის პოემას „**ვეფხისტყაოსანი**“, და სხვა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „**მაცნე**“ უკვე წლებია ქვეყნდება აკადემიკოს მერაბიშვილის მონოგრაფიები და კვლევის შედეგები მალე მონოგრაფიაში მოიყრის თავს.

1988 წელს ინესა მერაბიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა საქართველოს ბაირონის საზოგადოება, რომელიც ბაირონის საერთაშორისო ასოციაციათა თავის დამოუკიდებელ წევრად ცნო და 1995 წლიდან მათი წლის ვადით ი. მერაბიშვილი ამ ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩია.

ინესა მერაბიშვილი იმ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა საქმიანობა პედაგოგიური მუშაობისგან განუყოფელია. მისი, როგორც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ხელმძღვანელობით მომზადდა ათი სადოქტორო დისერტაცია.

ქალბატონმა ინესამ უნივერსიტეტში შექმნა სათანადო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ქართულ-ინგლისური თარგმანის მიმართულეობით, რაც დასავლეთეუროპული ფილოლოგიის ინსტიტუტში თარგმანმკვლევების კათედრის გახსნით დაგვირგვინდა, რომელსაც დღემდე თავად ხელმძღვანელობს.

1995 წელს ინესა მერაბიშვილმა დააფუძნა თბილისის ბაირონის სკოლა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ინგლისური ენისა და კულტურის შესახებ სასწავლებლის კურსდამთავრებულთა წარმატებით აგრძელებს სწავლას საქართველოში და მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტში.

აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი გახლავთ ის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თანამრად აფასებენ როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, პატივს სცემენ მის ორატორულ ნიჭს და გამოცდილებას. საუნივერსიტეტო თუ საჯარო ლექციებით წარმატებული გამოსვლები, მძაფრი პოლემიკური დისკუსიები, პუბლიცისტიკური წერილები, სატელევიზიო და რადიოგადაცემები ნათლად მეტყველებენ მის საზოგადოებრივ და აკადემიურ ღირებულებებზე. სამეცნიერო და კულტურულ ასპარეზზე ნაყოფიერი მუშაობისათვის აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი, ივანე მაჩაბლის პრემია, გალაკტიონ ტაბიძის პრემია, ბაირონის საერთაშორისო მედალი და მრავალი სხვა. გორში დაბადებული და გაზრდილი ქალბატონი ინესა მერაბიშვილი არის გორის საპატიო მოქალაქე.

მსოფლიოში ქალბატონი ინესა სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ჰერად გედნიერებას და ახალ-ახალ წარმატებებს სამეცნიერო საქმიანობაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.



აკაკი სორაპას სენსაციური ჩანაწერები


დურუჯის სულის ჩამდგმელი იყო სანდრო ახმეტელი, მარჯვენა ხელი კობა მარჯანიშვილისა. მანგლისში დასის საზაფხულო ყოფნის დროს მე დახვეწა, შეამდგინა დურუჯის წესდება და შინაგანაწესი, რას შევასრულა.

ახმეტელის მეთაურობით ახალგაზრდობამ გადაწყვიტა, შეეკრა მტკიცე ორგანიზაცია, რომელიც გარს შემოეკვროდა კოტე მარჯანიშვილს და არ მისცემდა ნაციონალისტურ ფენას გასაქანს, რაიმე ზიანი მიეყენებინა კოტესათვის. დაარსდა დურუჯი. იგი გამოვიდა ძალიან უხეშად დაწერილი მანიფესტით. დურუჯის მანიფესტის დედააბრი იყო ბრძოლა ახალი ქართული თეატრის შექმნისათვის, თეატრისა, რომელიც თავისი შემოქმედებით ახალი დროის მოთხოვნებიდან მომდინარეობდა, განამტკიცებდა რკინისებურ დისციპლინას მუშაობაში, იბრძოლებდა ნაციონალისტური იდეების და ახალი დროისათვის მიუღებელი ტრადიციების წინააღმდეგ. იბრძოლებდა ახალი ტიპის მსახიობის ჩამოყალიბებისათვის. დროშა ახალი თეატრისა იყო კოტე მარჯანიშვილი. რასაკვირველია, კორპორაცია დურუჯის ხელი არ უკრავს ძველი მსახიობებისათვის და ვისაც სურდა კოტესთან მუშაობა, ყველა დასში ირიცხებოდა „ნ. გოცირიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პლ. კორიძე და სხვ. ნ. ჩხეიძე, იმედაშვილი და მათი აზრის მატარებლებმა დატოვეს თეატრი და შეადგინეს „ქართული დასი“ – მართავენ წარმოდგენებს ოპერის თეატრში.

რასაკვირველია, დურუჯის სულის ჩამდგმელი იყო სანდრო ახმეტელი, მარჯვენა ხელი კოტე მარჯანიშვილისა. მანგლისში დასის საზაფხულო ყოფნის დროს მე დამეგავლა, შემედგინა დურუჯის წესდება და შინაგანაწესი, რაც შევასრულე. ერთ-ერთი მუხლი შინაგანაწესისა იყო – უმცირესობა ვალდებულია, დაემორჩილოს უმრავლესობის აზრს. ამთავითვე დურუჯი ორი ჯგუფი შეიქმნა – ერთი, ასე ვთქვათ, არისტოკრატია, „კულტურული“ მსახიობი, მაღალ წრეებში მიღებული ხალხი; უკვე სახელმწიფო-ვეტილი ანჭათარაძე, დავითაშვილი, გ. დონაური, ნ. გამრეკელი და სხვანი; ხოლო მეორე ჯგუფი შედგებოდა უსახელო ახალგაზრდებისაგან, „დაბალი კულტურის მქონეთაგან“. ასეთები იყვნენ: თ. ჭავჭავაძე, ჩხეიძე, ლორთქიფანიძე, ვასაძე, პატარაია, კორიძე-ლი, ჭიჭიანი, პატარაძე, კ. გველესიანი, ანთაძე, მე და ზოგი სხვა. პირველი ჯგუფი ყოველმხრივად თვლიდა თავს და, რაკი ხშირად იყვნენ ხელმძღვანელების წრეებში, თავი მოჰქონ-

დათ ყოველმხრივად და უცვლელად აღამიანებდა. მეორე ჯგუფი გულწრფელად იყო მონადინებული, ებრძოლა ახალი, სამჭოური მსახიობის სახის შექმნისათვის და ზუსტად იცავდა წესდებებს. ყველასთვის, დიდისათვის თუ პატარისათვის, დისციპლინა ერთნაირად იყო სავალდებულო.

რასაკვირველია, პირველი ჯგუფის მსახიობებს ეთავილებოდათ მკაცრი დისციპლინა და ხშირად ამუშავდნენ და გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მეორე ჯგუფში იყო კიდევ ერთი ჯგუფი: „მესტაფონელები“ – ღამაში, უ. ჩხეიძე, დ. ჩხეიძე და მათი მეთაური დ. ანთაძე. ამათ ჯგუფთან ახლო იდგნენ ჭავჭავაძე, ვასაძე, შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი ჯგუფობის გარეშე იდგნენ ახმეტელი, ჭიჭიანი, ი. გამრეკელი, პატარაია, შავიშვილი და ერთ-ორი კიდევ, რომლებიც ზუსტად იცავდნენ დურუჯის მთლიანობას და მის შინაგანაწესს. პირველი ჯგუფის მიერ ახმეტელის დამუშავება უმძაფრეს წერტილს მიაღწია. ისინი ცდილობდნენ, როგორც კოტეს გული აცრუებოდა სანდრომ და, რასაკვირველია, ფარული მიზანი იყო ჭიჭიანის მიყვანა თეატრში. შეისწავლეს რა კოტეს სისუსტე, დონაურის ოჯახი თითქმის ყოველდღე მართავდა ქეიფებს კოტესათვის. ქეიფებს ესწრებოდნენ, რასაკვირველია, დონაური, მისი ბიძაშვილი ლიალია, რასაკვირველია, ვერიკო. მუდამდღე იყო დამუშავება კორპორაციის მისი დაშლის მიზნით, დამუშავება ახმეტელისა, თითქმის მტრისა მარჯანიშვილის. ამ ქეიფებს დაბალი ხარისხის მოჰქმუნობა ახასიათებდა. კოტეც ჩაუარდნილი იყო ამ წუმბეში, მაგრამ, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად პირველი ჯ-



უფის სიტუაციისა, მარჯანიშვილი ახმეტელს, როგორც თავის მოადგილეს, არ თმობდა.

ამ ქეიფების დროს ყველანი უპრანაზდნენ თავს კოტეს, რომ როგორც მისი განსაკუთრებული ყურადღება დაემსახურებინათ – მიზანი იყო, როგორც კოტე ჩაეგდო რომელიმე მათგანს ხელში და მისი ნება-სურვილის გამტარებელი გამხდარიყო. კოტეს თვალში ელენე დონაური ჩაუვარდა. ყველა უწყობდა ხელს, რომ კოტესა და დონაურს შორის რომანი გაღვივებულიყო – აცრუებინათ გული კოტესათვის კორპორაციაზე, ახმეტელზე. ჩვენ ვგრძობდით, რა მზაკვრულ პოლიტიკას აწარმოებენ კოტეს მიმართ „სახელოვანი“ მსახიობები – მათ სურდათ, კოტე გაეყრდა თავის მეუღლეს, შესანიშნავ ქალს, და შეერთებულიყო დონაურს. ამ საქმისათვის თავ-

გამოდებით იბრძოდნენ ანჭათარაძე, ლიალია ვაჩნაძე, გამრეკელი ბაბუცა. ანჭათარაძის მიზანი იყო, ელ. დონაურის მემკვიდრეობით ხელში ჩაეგდო კოტე და თავის ნება-სურვილებზე ეტრიალებინა იგი. შუამავლებმა მიზანს მიაღწიეს – კოტე გაყარეს ცოლს და შერთეს დონაურს.

ამ პირობებში უფრო გამწვავდა შიგნით კორპორაციაში ურთიერთობა. კოტეს არწმუნებდნენ, რომ კორპორაცია ძირს უთხრის მის ავტორიტეტს, რომ ახმეტელი ცდილობს, გაავლოს კოტე თეატრიდან და თვითონ ჩადგეს სათავეში. პირველი ჯგუფი ამ პროპაგანდას საზოგადოებაში ეწეოდა. თანდათან გაიყო ინტელიგენცია ორ ბანაკად, ორად გაიყვნენ პარტიული ხელმძღვანელებიც. რასაკვირველია, ყურულამვილი თავისი ცოლის, ს. ჭიჭინაძის გავლენის ქვეშ მოექცა, ლ. დონაურის ერთი მსახიობი ქალისადმი რომანულმა დამოკიდებულებამ გაიტაცა.

გაჩნდნენ ხელოვნებაში მედროვენი, რომელთაც უნდოდათ, კოტეს ავტორიტეტი თავისი კარიერისათვის გამოეყენებინათ. გარს შემოეხევა კოტეს მოქეიფები, ყოველი ჯურის მოჭემის ხალხი. ყველა ცდილობდა, კოტეს დამცველად გამოსულიყო და ამით მისი გული მოეგო. გინებამ ახმეტელისა და დურუჯელებისა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. „ქართული თეატრის შეურაცხმყოფელი, ინტრიგანები, უნიჭონი, ნიჭიერ მსახიობთა მდევნელები, ავანტიურისტები“ და სხვა ამგვარი ეპითეტებით გვიმასპინძლებოდნენ ახმეტელის მომხრეებს და თვით ახმეტელს. თანდათან ისე გააღვივეს კოტეს ეჭვები სანდროს მიმართ, მანაც გული აიცრუა სანდროზე „ხანდახან ვფიქრობ, რომ კოტემ, საზოგადოდ, გული აიცრუა ქართულ თეატრში მუშაობაზე და უნდოდა, ისე გასცლოდა მას, რომ შერჩენოდა სახელი ქართული თეატრის მოჭემის ხალხისა, რომელსაც თითქმის ახმეტელი და მისი კორპორანტები არ აძლევდნენ საშუალებას, ემუშავნა. ხომ ყველამ იცის, რომ კოტე დიდხანს ვერცერთ თეატრში ვერ ძლებდა და, თუ საქართველოში ჩამოვიდა, იმიტომ, რომ მათუ-მით საზღვარგარეთ წასულიყო.

კოტე სუსტი ნებისყოფის კაცი იყო, ხშირად მოექცეოდა ხოლმე გავლენის ქვეშ. ერთი ფაქტი: კოტემ კარგად იცოდა, რომ არსდებოდა დურუჯი, რომლის მიზანი იყო, კოტე შეენახა ქართულ თეატრში და მისი მითითებები ახალი თეატრის შექმნის შესახებ ზუსტად გაეტარებინა ცხოვრებაში. კოტე თვით



დაიდგა „ანგორი“, „რკვივა“, „ყაჩაღები“, „თითნული“ და სხვა პიესები. რომლებსაც საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურა. 30-33 წლებში მოსკოვში გაბარტულმა გასტროლებმა დიდი სახელი გაუთქვა თვით ახმეტელს და რუსთაველის თეატრს. ქართველმა საზოგადოებრივებმა პირი იბრუნა რუსთაველის თეატრისაკენ.

გავრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ N24, 25, 28-29,30,31

გაჩნდნენ ხელოვნებაში მადრონი, რომელთაც უნდოდათ, კოტეს ავტორიტატი თავისი კარიერისათვის გამოაყენებინათ. გარს შემოახვიან კოტეს მოქაიფანი, ყოველი ჯურის გოჭამის ხალხი. ყველა ცდილობდა, კოტეს დამსჯელად გამოსულიყო და ახით მისი გული მოეპოვა.

ღებულობდა მონანილეობას მანიფესტის შედგენაში და თვით ღებულობდა მონანილეობას დურუჯის გამოსვლის ფორმის შედგენაში. ძველი ქართული თეატრის და მსახიობის წინააღმდეგ არაფერ არ იყო ისე უღმობლად განწყობილი, როგორც თვითონ კოტე. ხოლო, როდესაც დურუჯის გამოსვლაში

თულ კულტურასთან. კოტეს ირგვლივ დაირაზმნენ მონაციონალისტო ელემენტები, განსაკუთრებით რეჟისორები, ძველი მსახიობები და სანდროსა და კოტეს გათიშვას აჩქარებდნენ. რასაკვირველია, ამ არეულ, მღვრიე წყალში ყველა თვევის დაჭერას ლამობდა. გაჩაღდა ინტერესთა თამაში.

ახმეტელი და ჩვენ ვგრძობდით ამ თამაშს. არც ერთხელ კოტეს წინააღმდეგ სიტყვა ცუდი არ თქმულა, ხოლო ბრაზი მოგვდიოდა იმ ხალხის მიმართ, რომლებმაც კოტე, ეს დიდი ხელოვანი, გახადეს თავიანთი მზაკვრული მიზნების მისაღწევ იარაღად. სანდრო იყო პრინციპული ხელოვანი, კარგი სამეგობრო და საამხანაგო კაცი. გულწრფელი და დაუდევარი მეგობრობით ნამდვილი ახალი ქართული თეატრის შექმნისათვის – ფორმით ნაციონალურის და შინაარსით ინტერნაციონალურის. გრძობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა ქართულ თეატრს განახლების ყოველგვარი პირობები, მტკიცედ იდგა საბჭოთა პლატფორმაზე. ვიმეორებ: იმხანად სამას კოტეს წინააღმდეგ ძვირ სიტყვას ვერ ათქმევინებდი და ყოველთვის ცდილობდა, როგორმე თვალი აეხილა მისთვის ამ ადამიანებზე, რომლებიც კოტეს, როგორც უსულო ტიკინას, ათამაშებდნენ.

საინტერესოა ასეთი ფაქტები: სანდროს მოწინააღმდეგეში საზოგადოებაში ავრცელდებოდა ხმას, რომ ახმეტელი და მისი ამხანაგები კომუნისტებს მიყვებოდნენ, ხოლო პარტიულ საზოგადოებაში სანდროს ეპასუხებოდა ფაშისტს. „მარჯანისტები“ ავრცელდებოდა ხალხში ხმას, თითქოს ახმეტელმა, ხორავამ და მასაძამ გააძვირეს მარჯანიშვილი თეატრიდან. საშინელი პროვოკაციაა. თითქოს ჩვენ განცხადება განცხადებამ შემპონდა ცეკაში, რომ მარჯანიშვილი მოეფორმებინათ თეატრიდან. ეს უსინდისობაა, თუმცა, რა სინდისი მოეპონებოდა იმ ხალხს, ვინც ყველაფერს სწორად და იმისათვის, რომორმე თავისი კარიერა მოეგვარებინათ.

კოტე მოამორეს რუსთაველის თეატრს ანჭაფარიძემ და მისმა წრემ. „ზესტაფონელებიც“ გადავიდნენ ანჭაფარიძის მხარეზე, განსაკუთრებით დ. ანთაძე, რომელსაც სურდა ახმეტელის ადგილის დაკავება.

არწმუნებდნენ კოტეს, დაენებებინათ თავი თეატრისათვის და უწინასწარმეტყველებდნენ, რომ ერთ წელიწადში თეატრში დარჩენილი ახმეტელი და მისი ჯგუფი მხატვრულად უთუოდ დამარცხდებოდა, რის შემდეგ მარჯანიშვილი და მისი მომხრეები „გამარჯვებულები“ დაბრუნდებოდნენ თეატრში.

კოტე წავიდა თეატრიდან და შეუდგა კინოსურათის გადაღებას. ფიქრობდა – ერთი წელიწადი სურათზე წავიმუშავე და შემდეგ, როდესაც ახმეტელს გაავადებენ თეატრიდან – დავბრუნდები.

საშა ახმეტელი ბევრს ეცადა, დაებრუნებინა კოტე თეატრში. თვითონაც წავიდა კოტესთან მოსალაპარაკებლად. ყველანაირ დათმობაზე მიდ-

იოდა, ოღონდ კოტე თეატრისათვის შეენახა. თითქოს შეთანხმებაც მოხდა, მაგრამ კოტეს ვარს ეხვია, ასე ვთქვათ, მარჯანისტები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ შეთანხმება არ მომხდარიყო. კოტეს მოადგილედ კინოში იყო კინორეჟისორი შაქრო ბერიშვილი, რომელსაც სხვებთან ერთად მიუძღვის დიდი წვლილი კოტესა და სანდროს გათიშვაში. შეთანხმება ვერ მოხდა. დასიდან წავიდნენ ანჭაფარიძე, გამრეკელი, დონაური. დანარჩენები დარჩნენ თეატრში. დ. ანთაძე გამძაფრებულ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდებში, რომ აემხედრებინა ისინი ახმეტელის წინააღმდეგ. რაკი მთავრობამ თეატრი ახმეტელს ჩააბარა, დაიწყო მარჯანისტების ბრძოლა ახალი თეატრის შექმნისათვის ქუთაისში. დაიწყო უსირცხვილო გადაბირება მსახიობებისა. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის დ. ანთაძეს, რომელიც ცდილობდა, ახალ თეატრში ახმეტელის ადგილი დაეკავებინა.

გაიხსნა სეზონი უკოტეოდ. პრემიერად წავიდა „ზაგმუკი“. სანდრომ კიდევ ერთხელ სცადა კოტეს თეატრში დაბრუნება. მან მისწერა კოტეს დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი „მე თვითონ ვნახე ეს წერილი და წავიკითხე“ – „**ძვირფასო კოტე, გთხოვ, მოდი გენერალურ რეპეტიციაზე, ნახე შენი მონაფის დამოუკიდებელი ნამუშევარი, მიუთითე ნაკლოვანებებზე. მინდა იცოდე, რომ შენი თეატრი და შენი ერთგული მონაფეები გელიან.**“

რასაკვირველია, კოტე არ გამოუშვეს და წარმოდგენა უკოტეოდ წავიდა. საშა ყოველთვის გვარწმუნებდა, რომ კოტე დიდხანს ვერ გაძლებდა გარსემორტყმულ წრეში, გაიგებდა მათ მზაკვრობას და დაბრუნდებოდა ისევ თეატრში. გაიხსნა ქუთაისის თეატრი. თეატრიდან წავიდნენ უმანგი, მრავალი მსახიობი და, მათ შორის, ახალგაზრდებიც.

დამახასიათებელია ერთი ფაქტი, თუ რა აინტერესებდათ ნასულ მსახიობებს, როდესაც კოტესთან მიდიოდნენ. თამარ ჭავჭავაძემ, რომელიც კოტეს გაჰყვა, მითხრა – „**წამოდი ჩვენთან ერთად, რატომ რჩები ახმეტელთან, რისი მოცემა შეუძლია შენთვის? კოტე შენ როლებს გაგიკეთებს, ის ხომ მალე მოკვდება, მერე კი ისევ სამასთან დაბრუნდები.**“

მე მგონია, ეს ფაქტი დიდად მეტყვევებს კოტეს ირგვლივ იყოფი მსახიობების მიზნებზე.

არ მომწონდა მარჯანისტების საქციელი. ვხედავდი და ვგრძობდი



მარცხნიდან — ვალერიან სიღამონ პრისტავი, იოსებ ბრიჯაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ? , დოდო ანთაძე

მათ ზრახვებს, მათ ფლიდურ განცხადებებს ახალი ქართული თეატრის შექმნის შესახებ. იმათ მხოლოდ თავისი კარიერა აინტერესებდათ და არა ქართული თეატრის მომავალი. ვხედავდი, რომ ისინი იყვნენ ყოველგვარ პრინციპულობას მოკლებული ხალხი და ყოველი მათგანი ელოდა დაპირებულ როლს (კოტე ყველას სათითაოდ დაპირდა ამა თუ იმ როლს). ძველმა რეჟისორებმა, იმ იმედით, რომ კოტე თავის მარჯვენა ხელად ახალ თეატრში მათ გახდიდა, საშინელი ლანძღვა-გინება გააჩაღეს რუსთაველის თეატრის წინააღმდეგ. ანჭაფარიძეს ქუთაისის თეატრშიც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა – კოტემ მთავარ რეჟისორად მიიწვია კ. ანდრონიკაშვილი. ჭიკურელი ისევ გარეთ დარჩა. მე არ ვიცი, ახმეტელთან რატომ დარჩა ზოგიერთი მსახიობი. ვფიქრობ, რომ ზოგი მათგანი წინასწარ გრძობდა, რომ კოტესთან „ზესტაფონელები“ მათ არ გაახარებდნენ და არჩიეს, ახმეტელს ამოსდგომოდნენ გვერდით. ნამდვილად ვიცი, წულუკიძე იმიტომ დარჩა სანდროსთან, რომ თეატრში პრემიერას ადგილი დაეკავებინა – მარჯანიშვილთან, სადაც ვ. ანჭაფარიძე იყო, მისი კარიერა უთუოდ განწირული იყო.

გაბრძობა იქნება



გაიხსნა სეზონი უკოტეოდ. პრემიერად წავიდა „ზაგმუკი“.



თამარ წულუკიძე იმიტომ დარჩა სანდროსთან, რომ თეატრში პრემიერას ადგილი დაეკავებინა — მარჯანიშვილთან, სადაც ვ. ანჭაფარიძე იყო, მისი კარიერა უთუოდ განწირული იყო.



თეატრში აღმოფთვება გამოიწვია, იმავ ღამეს, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, გაიქცა კოტე მაყაშვილთან „იმ დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან“ და ევედრება შეცვლას, „მე ვუღალატე საქართველოს, შემაყდინეს, საშინელი ამბავი ჩამადენინეს“ და სხვა. ეს ფაქტი, მე ვფიქრობ, ძალიან დამახასიათებელია კოტეს ადამიანური ბუნებისათვის. ხალხში გავრცელდა ხმა, რომ ახმეტელი კომუნისტებს მიეყიდა, რომ მას არაფერი აქვს საერთო ქარ-

თურქები რომი თურქეთსა და რუსეთს შორის



ქართული მიწების საქართველოსთან შეერთებისთვის. ის ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, სერგი მესხთან და სხვა ცნობილ ქართველებთან მეგობრობდა. მისი დაუნიჭებელი და დაფინანსებით, ქობულეთში, აჭარაში ერთ-ერთი პირველი ქართული სკოლა გაიხსნა. ილია ჭავჭავაძემ გულო კაიკაყაიშვილს აჭარის გული უწოდა. ომის საბოლოო ბედი ბალკანეთის ფრონტზე გადაწყვიტა. პლევნას ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ, რუსეთის ჯარებმა ბალკანეთის მთები გადალახეს და საომარი ოპერაციები

რუსეთი, თავისი ისტორიის განძობა, ყველაზე ხშირად, თურქეთთანაა ნათქვამი. 19-16 საუკუნეებში დადგინდა, მათ შორის, 12-ჯერ მოხდა ომი, რომლის მთავარი მიზანი რუსეთსა და თურქეთს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებული გეოპოლიტიკური შუღლი იყო. ეს ომი იმპერია, შავი ზღვის რეგიონში, ბალკანეთში, საბერძნეთსა და კავკასიაში გავლენის სფეროების მოსაპოვებლად, გაუთავებლად ეგრძობდა ერთმანეთს. 19-16 საუკუნეში, წინააღმდეგობა ორ ქვეყანას შორის კულმინაციას მიაღწია, რომლის მიზანი იმდროს რუსეთის იმპერიაში გაბატონებული იდეოლოგია იყო:

მოსკოვი მესამე რომია. ამით რუსეთი მართლმადიდებელი სამყაროს ლიდერად აცხადებდა თავს. ეკატერინე მეორედან დაწყებული, რუსეთის ყველა იმპერატორი სტამბოლის დაპყრობასა და მის კონსტანტინოპოლად გადაკეთებაზე ოცნებობდა. რუსეთის ასეთი განწყობა კი ოსმალეთის იმპერიასთან გარდაუვალ ჯახს იწვევდა.

ამ ორ იმპერიის შორის, ბოლო ომი პირველ მსოფლიო ომამდე, 1877-78 წლებში გაჩაღდა. ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ, რუსეთმა ძლიერი იმპერიის იმიჯი დაკარგა. 1856 წელს პარიზში დადებული ზავის მიხედვით, რუსეთს შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის შექმნა ეკრძალებოდა, რაც მის აღმოსავლურ პოლიტიკას აფერხებდა. ასევე, რუსეთმა დაკარგა გავლენა რუმინეთსა და სერბეთზე. დაკარგული პრესტიჟის აღსადგენად, რუსეთს ომი სჭირდებოდა, მაგრამ საბაზს ვერ პოულობდა. ამასობაში, ბალკანეთსა და ბულგარეთში, თურქეთის წინააღმდეგ, ეროვნულ-გამათავისუფლებელმა აჯანყებამ იფეთქა. მათ რუსეთს დახმარება სთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს. რუსეთს ყირიმის ომის განმეორების ემინოდა. მიუხედავად უარისა, შექმნილ ვითარებაში, რუსეთმა ომისთვის მზადება დაიწყო. მანამდე კი, დიპლომატიური სვლები განახორციელა, რითაც ევროპული იმპერიების შეჭრება მოახერხა: ევროპა რუსეთს შესაძლო კონფლიქტში ჩაურევლობას შეჰპირდა. 1877 წლის 24 აპრილს, კიშინიოვში მყოფმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ოსმალეთის იმპერიას ომი გამოუცხადა. საომარი მოქმედებები ორ ფრონტზე, ბალკანეთსა და კავკასიაში დაიწყო. ოსმალეთის არმია ომის დასაწყისში 300 ათას კაცს ითვლიდა, აქედან 200 ათასი ბალკანეთის, ხოლო 70 ათასი, კავკასიის ფრონტზე ჰყავდა. რუსეთს, მთლიანად, კავკასიაში 150 ათასი და ბალკანეთში 185 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა. რუსეთის მხარეს რუმინეთის, ბულგარეთისა და

სერბეთის არმიები იბრძოდა. 1877 წლის აპრილში რუსეთის არმია მდინარე პრუტი გადალახა და რუმინეთის ტერიტორიაზე შევიდა. მაის-ივნისში მიმდინარე ცხარე ბრძოლების შედეგად, რუსებმა, ბულგარულ მოლაშქრეებთან ერთად, მდინარე დუნაი გადალახეს და სისტოვო დაიკავეს.

რა ხდებოდა კავკასიის ფრონტზე: კავკასიის ფრონტს მიხედვით ლორის მელიქოვი სარდლობდა. რუსეთის არმია-სთან ერთად, ამ ფრონტზე ქართველ მოხალისეთა დანაყოფები იბრძოდა. რუსეთის ჯარმა, ქართველ მეგრძობლებთან ერთად, თურქეთის საზღვარი გადალახა და ბრძოლა მის ტერიტორიაზე გადაიტანა. 1877 წლის 30 აპრილს მათ ქალაქი ბაიაზეთი, შემდეგ კი, ქალაქი არტანუჯი დაიკავეს. ბრძოლებში, თავი ისახელა მუსხელიშვილისა და ამირჯიბის სამხედრო ნაწილებმა. არტანუჯის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, არტანუჯისა და ართვინის გავლით, გზა ბათუმისკენ იხსნებოდა, მაგრამ კავკასიის არმიის სარდლობაში პირველი რიგის ამოცანად ყარსის ციხე-სიმაგრის დაკავება დაისახა. ბათუმზე შეტევა ოზურგეთის მხრიდანაც მიმდინარეობდა.



გენერალი მიხაილ ლორის-მელიქოვი

მოსკოვი მესამე რომია. ამით რუსეთი მართლმადიდებელი სამყაროს ლიდერად აცხადებდა თავს. ეკატერინე მეორედან დაწყებული, რუსეთის ყველა იმპერატორი სტამბოლის დაპყრობასა და მის კონსტანტინოპოლად გადაკეთებაზე ოცნებობდა. რუსეთის ასეთი განწყობა კი ოსმალეთის იმპერიასთან გარდაუვალ ჯახს იწვევდა.

და ართვინის გავლით, გზა ბათუმისკენ იხსნებოდა, მაგრამ კავკასიის არმიის სარდლობაში პირველი რიგის ამოცანად ყარსის ციხე-სიმაგრის დაკავება დაისახა. ბათუმზე შეტევა ოზურგეთის მხრიდანაც მიმდინარეობდა.

თურქეთმა, ამავე პერიოდში, გუდაუთაში შავი ზღვით დესანტი გადმოსხა და სოხუმს შეუტია. ოქტომბრის მიდამოებში, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა, სადაც თურქები რუსულ-ქართული ჯარით გენერალმა ალხანბეგოვმა დაამარცხა. მან თურქებისგან მალე განმინდა აფხაზეთის მთელი ტერიტორია. 1877 წლის დეკემბერში რუსებმა ხერათვისი და არტანუჯი დაიკავეს და ბათუმისკენ აიღეს გზა, თუმცა, აჭარელი ბეგების პოზიციის გარკვევამდე, ბრძოლის დაწყებას ვერ დაიწყებდნენ.

სულთანის პროპაგანდა მიზანმიმართულად ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული განწყობის გაძლიერებას. აჭარის ზოგიერთი ბეგი, ალი-ფაშა-თავადგირიძის თაოსნობით, ოსმალეთს უჭერდა მხარს, მაგრამ აჭარის მოსახლეობისა და თავად-აზნაურობის უმრავლესობა რუსეთის მხარეს იყო, რადგან ოსმალეთისგან მიტაცებული აჭარის საქართველოსთვის დაბრუნებაზე ოცნებობდა. ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ საქართველოს გამუსლიმანებული მოსახლეობაში ვერ გააქრო ეროვნული მთლიანობის სულისკვეთება.

დედასამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობას აღტაცებით შეხვდა მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი, მაგრამ ზოგიერთი ბეგი, ოსმალეთის მრისხანე ძალით შეშინებული, მაინც ყოყმანობდა, გადასულიყო თუ არა რუსეთის მხარეს. ყველას კარგად ახსოვდა ოსმალეთის ჯარის სისასტიკე, აჭარისა და ქობულეთის ბეგების რუსეთის მხარეს გადასვლაში დიდი როლი ქობულეთელმა ბეგმა გულო კაიკაყაიშვილმა ითამაშა. მას მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მუდამ იღვწოდა თურქეთის მფლობელობაში მოქცეული

ჩაატარეს ბულგარეთის ტერიტორიაზე. თურქულმა ჯარებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. რუსეთის არმია კონსტანტინოპოლს მიუახლოვდა. შეშინებულმა ოსმალეთმა დროებითი ზავი დადო. 1878 წლის 3 მარტს, სტამბოლის მახლობლად, სან-სტეფანოში დაიდო ეს ზავი და, ამით, აქტიური ბრძოლები დასრულდა. ორ ქვეყანას შორის საბოლოო ზავი 1878 წლის 13 სექტემბერს დაიდო ბერლინში, რომლის შედეგად, თურქებმა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დააბრუნეს. ოსმალთა მფლობელობისაგან საბოლოოდ გათავისუფლდა აჭარა-ქობულეთის მიწა-წყალი. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ისტორიული აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორიები. რუსეთმა ასევე მიიღო კოლა არტანუჯი, ყარსი, ბაიაზეთი, კლარჯეთი და ოლთისი. თურქეთმა სერბეთის, რუმინეთისა და მონტენეგროს დამოუკიდებლობა ცნო. ბულგარეთი სამ ნაწილად გაიყო. ერთს თურქეთი, მეორეს რუსეთი და, მესამეს, თავად ბულგარელები განაგებდნენ. ბესარაბია რუსეთის იმპერიაში შევიდა, მაგრამ ამ ომის მთავარი მიზები კავკასიაში ტერიტორიების მოპოვება არ ყოფილა. ბალკანეთისა და რუსების ოცნება მოსფორ-დარდანელის სრუტის ხელში ჩაგდება იყო. მიუხედავად მძიმე ბრძოლებისა, რუსეთის იმპერიამ ეს ვერ შეძლო, რადგან, ევროპული იმპერიები იღვა მის წინააღმდეგ.

რუსულ-თურქული ომით მიღებული ტერიტორიების გადანაწილებამ დიდხანს ვერ გასტანა. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, რომელმაც მთლიანად შეცვალა ოსმალეთისა და ევროპის რუკა.

ნუზარ (ბ) რუსხაძე POSTV



ქართველი მებრძობი რუსეთ-თურქეთის ომში

დადუნ თურქაძე

დასასრული და დასაწყისი...

(კუბლიცისტური პოემა)

„და იქნა ნათელი!“

მიბლია, დაბ. თავი 1.

1 შთანთქაგდა მიღეთს მადე, ალბათ, ამოკება, რომ ანაზღვეულ შეტრიალდა, ბედად, დროება. და, განა დატყნენ? ისევე დუღან დენთის კანკები და სერელებიდან ხისინებენ კვლავ უნახები!

მინაყულ ასებს, დაუნდობი ცვლიან დრონები, ჭეჭა-ჭეჭილებს — წითელი ჯვრის უშელონები. დინება კაცის ეწირება კაცებს, თოფიანს, უოფანს — არუფანის არსი — ჩეჩქის ფილონოფიას!

ერთსანოვანი აზროვნების ხაზს გონებას, მრავალსანოვან ბაზრის ნება ებატონება. ჭეშმარიტებას, უაზრობის გუდავს უახსები, დემოკრატიას თამაშობენ ცვლი მახრებით!

ცამ რა უნდა ქნას? ცრემლიანი დაჭურვებს ველებს, ღმობით ისუტებს ხისხლდარქტილ სეების ხელებს. კატობობა ეწირება ეშმას განახებს, და ახლა თეთრი როსინანტი, ელის ღამანჩეხს!

2 აგურ, ანრდილი გამოვიდა ფანისის ბუმიდან, ხმა ჩოჩოლის ოვალიდან, რადა, დუმიდან. ჩანს, არც ნა ზოლე ონ-ია და, არც ცრუ ლუია, ჩამქრალ ტამრების სულში დეივა ალილუია!

დაგას, გარინდული, მოლანდება დისნეი ლენდთან, თუ როდის იტყვის ცეროღენა, კალთიდან — „დგე!“ „ავეე მარით“ აზობს ჭაობს ვილატა, სანინორ, მკვიდრი ქვევანა, რომ ხელახლა აღმოაჩინოს!

მტრელების გუნდმა გადუფრინა შემკრთალ ზღანეტას, ბრუკლინის სიღრე გზას უთმობენ ჩატკის კარტას. გაღმა-გამოღმა არის განჯა ახალ დინების, აღმოსავლურ და ზროდასავლურ განსომილებით!

ხისარბის განცდით დაბინდული ტობიერება, ნაქარგს ცდუნებით, ბანალურ ქსელს ვეღარ ერევა. წარსოცა მცნება მოჭიკანის, ხაზის შინელის და შექმნა ხასე უკანასკნელ უკრანელებს!

3 თქვენ, როგორ ფიქრობთ? შეუცვლის კი, მტრელების ფარფატი



ნება-სურვილებს, „შეხრობილებს, ომის ხანადით? საშინელებს, როცა განჯის არც აქეთ მზაობა და ფრთებს ხანსაშენ გადივით არარაობას! ვიცი, იკითხავთ, თუ რა ისმის ჩვენი თემიდან, რა, გითხრათ, ალბათ, შემოივლის მადე თემიდან. მიწედა „გემბანზე“, ვირთაგვების წაკება ფუთებით, დეკრეშინდოზე გადამწვევენ „აღმყოფობებიც!“ როგორც კი განჯა, „მოლოტოვის“ ალტერნატივა, აქებათა ქებაც „მიკროფონში მიდის მარტივად. კომპლექტ გულმშვიდად, ძველებურად წყალობს ქვრივ-ობლებს, თანაც, გულადი მწვემსებისთვის, თლის რწმენის კომპლებს!

ახლა, ისიც თქვენს — დაჯდებიან „დიდი მამები“, მიმოსხავეენ თვალის ერთი დახამხამებით ტორტის ვალბუსზე გრემდს და განედს ღანჩით ქეხლებს და ძველ შეგობებს დატოვებენ გალიმებულებს!

შესძრავენ ედემს, შორტიანი მისტერ, მისები,

უხმოდ ჩაივლის აბეკუნთა „ბარაკლისები.“ ვეღარ გვიშველის ხანტევენების რეკოლუცია, ჩამოგვართმევენ ჩვენც მ ა ხ თ ი ს მალალ ფუნქციას!

როგორ გვინათ? ერთდროს, ა ქ ე თ „მოხამხასურე“ გაღიქცება, ხელად, მორჭმულ მოჭირნასულებდ? არ დაიჯეროთ! ფრთებგამოღლი ალი-ბალია, ეფლირტავენას ახლა, ი ქ ი თ, „ოქროს გალიას!“

4 რა, ექნა, ვერ ვიტან სიტყვას „რევიმს“, თუნდაც, უვიზოს, არც სეტიალი მივეარს ცამი ისე, უმიზნოდ. როცა მოვიწვევ, სულ იდუმალი, ნეტა, საიდან? ჩნდება ტატრების ხანახები, თოვლი... საიდან!

წამის წამწამი შეატოკა მტრელების დუღუნმა, მიწის შემეწურე, გამწვრალმა ცამ დაიგუგუნა! მსემ მიმოჟარა დრუბლის მამა, მოწი მოისხა, ხიბლით დაუნზო თვალისჩინი სეტყვის მოისხათ!

მერე, სიმებით, ნისლის ფთილა ფრთხილად გაფანტა, და, საიდანღაც, მტრედთა გუნდი გამოფარგატდა. არ დაერიდა ცვცვლის ნაკადს — სულის კაემანს. წრე მოხანა და შურდულივით ალში დაეშვა!

ჩქარობდნენ, შუბლი არ დაუდგოთ ჯგანზე, ურანზე, მიჯრით დაფრინდნენ თოვლში ჩაფლულ ტანკის ჯუღანზე!..

27 თებერვალი, 2025 წ.

ვაჟ, დრონი...

„მიღელაანთიკარი ჩემი დადულაითი!“

წლავანდელი 8 თებერვალი იმი-თავ იყო გამორჩეული, რომ ივერთ სამკვიდროს სწორუპოვარი მეფის — დავით აღმაშენებლის ზეციურ საქართველოში დასვენდებიან 900 წელი შესრულდა. — მდინერი ვარ, რომ ამ დიდი მეფის სახელს ვატარებ და ეს დღე ჩემია, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნისა. შეამაყება იმითაც, რომ ახლახან, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გადამწყვეტილებით, დავით აღმაშენებლის პრემია და ოქროს მედალი გადმომეცა. ჩემთვის ეს ყველაზე ძვირფასი ჯილდოა, რომელსაც დღენიდად გულით ვატარებ. მთელი ჩემი ცხოვრება ვალი მექნება ამ ბუმბუ-ეაში მეფის სახელის წინაშე! — ომანიანად აცხადებს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით ახლოური... * * *

შამთახიანით ოკუპირებული სოფელი მიღელაანთიკარი მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ზღვის დონიდან 1320 მეტრზე. დაბა ახალგორიდან 24 კილომეტრითაა დაშორებული.

როგორც ამბობენ, „მიღელაან-ვილები არავის ხეობიდან არიან მიღელაანში დამკვიდრებულნი, კერძოდ, სოფელ მიღელაურე-მიდან, რომელიც ხადის ხეობაშია. ხადელმა მიღელაურმა ქსანზე ახალ საცხოვრისს მიღელაანი უწოდა. მისი შთამომავლები კი მიღელა-შვილებად დაენერნენ. ჩვენამდე მოღწეული გადმოცემით, ქსნის ხეობაში ძმები მიღელა და გარობა უნდა გადმოსულიყვნენ.“

ეს სოფელი ჩემი დედულე-თია. აქ დავიბადე და ვავიზარდე, ამიტომაც განსაკუთრებით ახლობ-ელი და მშობლიურია ჩემთვის! — წინაპართა სამკვიდროს მონატრე-ბული სულისკვეთებით აცხადებს მშობლიური ქსნის ხეობის მემკვიდრე, მკვლევარი-ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ-ესორი დავით ახლოური. ზამთრის იმ მოღელმულ დღეს, ერთხელ კიდევ გადავხედე ქსან-დალელი შამთაღმწერის „ქსნის ხეობის ისტორიის“ მესამე ტომს. უნებლიეთ თვალში მხვდება (134 გვ.) გრძელაივნიანი საცხოვრებ-



ელი სახლის ფოტო წარწერით — ჩემი სახლი სოფელ მიღელაან-ში. „ძნელი ყოფილა მშობლიური კერის მონატრება, დაკარგული მინის ტკივილი, სადაც ბავშვობის დროინდელი მოგონებები თვ-ლემენ. მივალოთ, დავინახავთ და მაშინვე მოგვარდებიან, ყელზე შემოგვეხვევიან, გულში ჩავვიძვრე-ბიან და სიკვდილის კარამდე არ მოგვცილდებიან.“ მართლაც მძიმე წასაკითხ-მოსასმენია ეს სიტყვები როგორც მიღელაანელებისთვის,

ასევე ქსნის ყველა ხეობელისთვის. დავცქერი აღნიშნულ ფოტოს და... უნებურად აინუნება ფიქრის გორგალი, შემომბატარებს სტუმარ-მასპინძლობით განთქმული ხეობის სანახებს, სადაც ახლო წარსულში გზა-ნიცა ძალუმად ყვაოდა მთისა და მე-ცხვარისანი. მასწავლებს — შემოდგომის (1997 წ.) იმ მზიურ ნაშუადღევს, როდესაც ჩემს ახლომეგობარს, ჯერ კიდევ ცხინვალის სახელმწიფო პე-დაგოგიური ინსტიტუტის (გორში) ის-ტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტს, მშობლიურ სამოსახლოში, სახელოვანი პედაგო-გის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის თენგიზ ახლოურისა და „ლაშაზად შვილის გამზრდელი დედის“ — თამარ მიღელაანელების ფუძემდებელი ოჯახს ვეწვიეთ. „გამარჯვებით — ახალგორო!“ ამ სათაურით გამოქვეყნდა ცხინვალის დედნილ გაზეთ „მიდა ქართლში“ (N251) ჩვენი დაუნიყარი სტუმრობის ფაქტი ისტორიულ ქსნის ხეობაში. მართლაცდა, „რა კარგი იყო მაშინ“ — მიღელაანთიკარი... იქ, ძირითადად, მიღელაანელები სახლობდნენ. ჩვენი მასპინძელია

ამაგდარი პიროვნება თენგიზ ახ-ლოური. — როგორ ვცხოვრობთ? — კითხვას გვიბრუნებს პატრიოტი ქართველი და ჩვეული სიღინჯით გვიპასუხებს: ვუძღვებ ზღურბლზე მომდგარ გაჭირვებას, ან სად დახვე-ცვეით. მთიელ კაცს უკან დახვევა, გულმხბლადობა არ სჩვევია!.. შინ შეგვიპატიუფს. ახლოურე-ბის ალორძინებულ კერაზე, გუ-ლუხვ სუფრასთან, გვიან ღამემ-დე ხმინობდა სტუმარ-მასპინძე-ლი, ქუხდა მრავალსამიერო... მერე ღამეც ჩაინავლა. ქურდულად წამოგვეპარა დილის რიჟრაჟი. თითქოსდა შეუმჩნევლად გასრულ-და ოქტომბრის ის ღირსსახსოვარი დღე ქარჩოხის ხეობაში. უამიც ჩამოგდა განშორებისა, მალე შეხვედრამდე, მიღელ-აანელებო! ნახვამდის, მოდულენე ქსანო! გამარჯვებით — ახალგორო! * * * ვაჟ, დრონი... ქსანზეც დაუჭედავი ბედაურით ჩაიქროლეს წლებმა, გაუსაძლისმა წლებმა. იმედი კი კვ-ლავ ცოცხლობს. გვჯერა სიმართლის გამარჯვებისა, — „ელირსებაო ლუხუმ-სა, ლაშარის გორზე შადგომა!..“

როზმარტ ოდიკაძე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.



საქართველოს მებრძოლ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გამართულ საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირზე 29 ქვეყნის გუნდს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

10 წონითი კატეგორიიდან 5-ში ფინალში ქართველი მოჭიდავე გავიდა. **მურმ ლომაძე** (72 კგ) ჩვეულებრივად ეფექტურად, სანახაობრივად და რაც მთავარია, დაუმარცხებლად იჭიდავა და ჩემპიონი გახდა. 17 წლის ვახტანგ ლოლუაშვილი (55 კგ) ნაკრებში

სადებიუტო ტურნირზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ასევე ვერცხლით დაასრულეს შეჯიბრებაზე გამოსვლა ამირან შვაციანი (60 კგ), გელა ბოლქვაძე (82 კგ). მცირე ტრავმის გამო ფინალში არ უჭიდავია და გიორგი მელიამ (97 კგ). ჯონი ხეცურიაშვილი (67 კგ) და იაკობ ქაჯაია (130 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილებში დაიკავეს.

საქართველოს გუნდი ალბანეთიდან ხორვატეთში მიემგზავრება ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე.

„მალენსია“ ლა ლიგის 26-ე ტურში სტუმრად „ოსასუნას“ დაუპირისპირდა და ქულა მოიპოვა – 3:3, თუმცა, **მიწისქვეშა** მამარდაშვილის მიხედვით ამ მატჩის შედეგებზე ესპანური მედია კრიტიკული იყო.

განსაკუთრებით ცნობილი გამოცემა AS აქტიურობდა. ესპანელი ჟურნალისტები არ გამოიხიბნენ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი სტოლე დიმიტრიევსკიმ დაიკავოს.

AS: „სასწაული მეკარიდან გადაიქცა მეკარედ, რომლისგან ერთი მოგერიებაც სასწაულია, და „ლივერპულში“ შეიძლება თემბი აიჩივონ. პირველ გოლში მეტის გაკეთება შეეძლო, მეორე გოლში ასხლევტამ ისე გააკვირვა, თითქოს ზაფხვი მეკარე იყოს. გასაკვირი არ იქნება, თუ კორბერანი სეზონის გადამწყვეტ ეტაპზე დიმიტრიევსკის ძირითადი მეკარის სტატუსს მიანიჭებს“.

Eldesmarque: „23-ე წუთზე ბრაიან სარაგოსას წინააღმდეგ შესანიშნავი სეიფით გამოიჩინა. ვერაფერი მოახერხა იმარტოსის პირველ გოლზე და ვერც მეორე, დიდებულ გოლზე. მესამე პენალტით გაუტანეს. მიუხედავად ამისა, მან დაკარგა წინა წლების სიხედავე. დაკარგა ის ჯადოქრობა, რამაც „ლივერპულს“ ბიჭვი მისცა მასთან კონტრაქტის გასაფორმებლად“.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მამარდაშვილმა მიმდინარე სეზონში კარის მმრალად შენახვა ხუთჯერ მოახერხა. „ვალენსია“ 24 ქულით „ლას პალმასთან“ ერთად მე-17-მე-18 ადგილებს იყოფს, ხოლო მომდევნო ტურში მ მარტს ბოლოადგილოსან „ვალენსიას“ უმასპინძლებს.

კრიტიკას მოუხშირეს



ფარიკაობა

ანტალია (თურქეთი). ევროპის კადეტთა და ახალგაზრდული ჩემპიონატი. ხმალი. ახალგაზრდები. **ვერცხლი** – ალექსანდრა კუვაევა (საქართველო). მან შარშან კადეტთა შორის მსგავს ტურნირზე ბრინჯაო დაიმსახურა. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელია **სერგი ხატიაშვილი**, მოხმალავეთა გუნდს კი **ზევა ზაზაძე** ავარჯიშებს. დაძვენთ, რომ კონტინენტურ ფორუმზე ჩვენმა საერთაშორისო არბიტრმა **თათია აფციანურმა**ც იმსახრა.

ძიულთ

მალაგა (ესპანეთი). ევროპის ახალგაზრდული თასის გათამაშება. საქართველოს ნაკრები – მე-2 გუნდური ადგილი 9 მედალით – 4 ოქრო, 2 ვერცხლი, 3 ბრინჯაო. **ჩემპიონები** – ბურაბ ჭილაძე (81), ლუკა ჯავახიშვილი (90), ნოდარ ალაფიშვილი (100), თამაზ ზიგანაშვილი (+100). აღსანიშნავია, რომ 90 კილოში ყველა მედალს ჯვაროსნები დაუფლნენ.

ორიოდა სიბყვიით

რაგბი

როგორც მოგვხსენებთ, წლევე-ანდელი საზაფხულო ტესტების ბოლო მატჩს ბორჯაბაძის 19 ივლისის მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ სამხრეთ აფრიკასთან სტუმრად გამართავენ. ამ დღე-ეგში გაირკვა, რომ აღნიშნულ შეხვედრას მუშაობის რეგიონის დედაქალაქ მომბელებს 43 ათას 500 ადგილიანი სტადიონი უმასპინძლებს.

20-წლამდელოა ტესტები. მე-2 თამაში. საქართველო – სამხრეთ აფრიკა 12:27.

კალათბურთი

წლევიანდელი ევროპასკეტის ნილოსყრას 27 მარტს რიგა უმასპინძლებს, რომელიც მომავალი ფორუმის ყველა დასკვნით მატჩს მიიღებს მერვედფინალე-ბიდან მოყოლებული, ლატვიის



გარდა კი პირველი ეტაპის მონაწილენი ლიმასოლში (კვიპროსი), ტამპერეში (ფინეთი) და კატოვიცეში (პოლონეთი) შეიკრიბებიან.

ფინალისტთა 24-ეული, საგარეულოდ, კალათების მიხედვით ასე დახარისხდებიან: **პირველი კალათა** – სერბეთი,

გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი.

მეორე კალათა – ლატვია, ლიეტუვა, სლოვენია, საბერძნეთი.

მესამე კალათა – იტალია, მონტენეგრო, პოლონეთი, ჩეხეთი.

მეოთხე კალათა – ფინეთი, საქართველო, თურქეთი, ისრაელი.

მეხუთე კალათა – ბელგია, ბოსნია, ესტონეთი, შვედეთი.

მეექვსე კალათა – დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, პორტუგალია, კვიპროსი.

რაც შეეხება პარტნიორებს, ფინეთმა ლიეტუვა აირჩია, ლატვია – ესტონეთი და კვიპროსმა – საბერძნეთი, პოლონეთი კი, ალბათ, უპირატესობას სლოვენის ან ისლანდიას მიანიჭებს.

ცხვიის სროლა

ქართველ მანდილოსანთა ტრიუმფით დაიწყო ევროპის ჩემპიონატი. ისინი საუკეთესო იყვნენ როგორც გუნდურ ტურნირში, ისე 10 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში, სადაც ოქრო და ბრინჯაო მოიპოვეს.

ივნისში დაბრუნება



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტმა ტომას ბახმა აღმასრულებელ საბჭოს IOC-ის წევრობიდან გათავისუფლების თხოვნით მიმართა. IOC-ის ცნობით, ოლიმპიური ქართის შესაბამისად, გადამწყვეტილ-

მა ძალაში შევა 23 ივნისს – ახალი პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების გადაცემის დღეს.

ბახი IOC-ის წევრად 1991 წელს აირჩიეს, 1996 წელს კი შევიდა ორგანიზაციის აღმასკომში. გერმანელი ოლიმპიური ჩემპიონი, შემდგომში კი წარმატებული მოხელე IOC-ის მესხრე პრეზიდენტად 2013 წლის 10 სექტემბერს აირჩიეს, 2021 წლის 10 მარტს კი ხელახალი თონხლიანი ვადით გააგრძელა საქმიანობა პრეზიდენტის პოსტზე. ბახმა 2024 წლის აგვისტოში განაცხადა, რომ თანამდებობაზე ახალი ვადით კენჭს არ იყრის. IOC-ის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება 20 მარტს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 144-ე სესიაზე, რომელსაც ოლიმპია (სამერძნეთი) უმასპინძლებს.

IOC-ის პრეზიდენტობის მსურველი შვილია. მათ შორის არიან მსოფლიო მძლეოსნობის (World Athletics) პრეზიდენტი, ბრიტანელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სემსტეიან კოე, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, იაპონელი მორინარი ვატანაბე, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) ხელმძღვანელი და საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი დავიდ ლაპარტიენი, თხილამურებისა და სნოუბორდის საერთაშორისო ფედერაციის (FIS) პრეზიდენტი, შვედი იოჰან ელიაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ესპანელი ხუან ანტონიო სამარანჩი-უმეროსი და IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრები – იორდანის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ფეისალ ალ-ჰუსეინი და ცურვაში ზომბაშვილი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი კირსტი ქოვენტრი.



მქსპერტი ფრთხილობს

UFC-ის ყოფილმა მებრძოლმა და ახლა MMA-ს ცნობილმა ექსპერტმა **ჩილი სონენი**მ საკუთარ იუთუბ არხზე **ილია თოფურია**ს შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, ჯერ ქართველ მებრძოლს ზევრი რამ დასამტკიცებელი აქვს და მახარებთან ამ მომენტში ბრძოლა გამორიცხვია. „თოფურია მახარების წინააღმდეგ კარგად უღერს, თუმცა ვფიქრობ ილიას დასამტკიცებელი ზევრი აქვს. მან ჯერ ერთი ბრძოლა მაინც უნდა მოიგოს და ისე მივიღეს მახარებამდე. ამისთვის მან ოლიფეირასთან ან ცარუკიანთან უნდა იჩხუზოს, რათა დაამტკიცოს, რომ მსუბუქ დივიზიონში ანგარიშგასაწვეი ძალაა.“ – განაცხადა სონენიმ. გეტყვი, რომ ილია თოფურია მქვემსუბუქი დივიზიონი ოფიციალურად დატოვა და ზედა წონაში გადაინაცვლა, მის მიერ დატოვებულ ქამარზე კი ალექსანდრ ვოლკანოვსკი და დიეგო ლოპესი 12 აპრილს იჩხუბებენ.

ზრდიანულ გაზეთ „დელი დილი“ (Daily Express) რეპრეზენტაციის მენეჯერი „დაბეჭდილი“ სტატია, რომლის სათაურია „მედიის ყველაზე ნაკლებად ცნობილი ქვეყანა, გასაოცარი მხარებით და საუკეთესო იაფი ღირებულებით“ (ავტორი - ადრიან ბორბუტი).

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:



...ქვეყანა გასაოცარი გუნებით და იაფი ღირებულებით...



ნარმოდინეტი - ესოდენ ძველი ტრადიციით დაყენებული ღვინის ერთ ბოკალს თქვენ სულ რაღაც 2 გირვანჯა სტერლინგად შესვამთ! როგორც მცენიერთა გამოკვლევები ადასტურებენ, თიხის დიდ ამფორებს - „ქვევრებს“ - ქართველები ღვინის დასაყენებლად ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 6 ათასი წლის წინათ იყენებდნენ. ღვინის დამზადების ქართულმა ტრადიციამ 2013 წელს იუნესკოს სტატუსი მიიღო. მედიცინაში ფერმენტირებულ ყურძნის წვენს „ქვევრებში“ - მინაში ჩადგმულ დიდ თიხის ჭურჭლებში ასახვენ შემდგომი დაღვინებისათვის. გარკვეული დროის შემდეგ ჩინებული ღვინო შესასმელად გელოდებთ.

ყველისგან, კვერცხისგან და ხორბლის ფქვილისგან მომზადებული ცხელი ღვეზელი. თუ თქვენ არ გსურთ ცომეულისგან დამზადებული საჭმელი, მაშინ შეგიძლიათ მიირთვათ შემწვარი ბაღრიჯანი ნივრების ფარშით, ან მწვადი, რომლებიც უგემრიელებსა.

საქართველოში - ლონდონიდან თბილისში - წასვლა შესაძლებელია British Airways-სა და EasyJet-ის სამგზავრო თვითმფრინავებით. მოგზაურობისათვის საუკეთესო სეზონია შემოდგომა, როცა დღის ტემპერატურა 20-დან 30-მდე მერყობს. შემოდგომაზე თქვენ შესაძლებლობა გექნებათ პირადად მიიღოთ მონაწილეობა ყურძნის მოსავლის აღების ტრადიციულ დღესასწაულში - როველში, როცა ქართული ღვინის ფესტივალი იმართება. ეს ხდება სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში: ადგილობრივი მოსახლეობა ერთად იკრიბება ყურძნის საკრეფად, მღერის და ვაზის ნაყოფს დასაწურად აგროვებენ, შემდეგ კი ერთად სუფრაზე სხდებიან და დროს სასიამოვნოდ ატარებენ.

საქართველოში - ლონდონიდან თბილისში - წასვლა შესაძლებელია British Airways-სა და EasyJet-ის სამგზავრო თვითმფრინავებით. მოგზაურობისათვის საუკეთესო სეზონია შემოდგომა, როცა დღის ტემპერატურა 20-დან 30-მდე მერყობს. შემოდგომაზე თქვენ შესაძლებლობა გექნებათ პირადად მიიღოთ მონაწილეობა ყურძნის მოსავლის აღების ტრადიციულ დღესასწაულში - როველში, როცა ქართული ღვინის ფესტივალი იმართება. ეს ხდება სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში: ადგილობრივი მოსახლეობა ერთად იკრიბება ყურძნის საკრეფად, მღერის და ვაზის ნაყოფს დასაწურად აგროვებენ, შემდეგ კი ერთად სუფრაზე სხდებიან და დროს სასიამოვნოდ ატარებენ.

სტუმრები დატკბებიან და ისიამოვნებენ ქართული დროსტარების ტრადიციით, რომელსაც „სუფრა“ ჰქვია და მოიცავს ერთ დიდ მაგიდაზე გაშლილ საჭმელ-სასმელს, სიმღერების თანხლებით, სუფრის წვერებისათვის. სუფრის ხელმძღვანელია „თამადა“, რომელიც მღერის და თან სადღევრძელოებს ამბობს. სუფრა შეიძლება დღე-ღამის განმავლობაში კი გაგრძელდეს, თამადას ერთიმეორეზე საუკეთესო სადღევრძელოები არ გამოეცემა.

სტუმრები დატკბებიან და ისიამოვნებენ ქართული დროსტარების ტრადიციით, რომელსაც „სუფრა“ ჰქვია და მოიცავს ერთ დიდ მაგიდაზე გაშლილ საჭმელ-სასმელს, სიმღერების თანხლებით, სუფრის წვერებისათვის. სუფრის ხელმძღვანელია „თამადა“, რომელიც მღერის და თან სადღევრძელოებს ამბობს. სუფრა შეიძლება დღე-ღამის განმავლობაში კი გაგრძელდეს, თამადას ერთიმეორეზე საუკეთესო სადღევრძელოები არ გამოეცემა.

მოგზაურებმა (დამსვენებლებმა) შეიძლება მიირთვან ხაჭაპური -

მოამზადა სიმონ კილაქია
წყარო: <https://www.express.co.uk/travel/europe/2021274/overlooked-country-europe-offering-amazing>

სსოვნა

საქართველოს საგვარეულო კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“ მწახარებით იუნესკო, რომ გარდაიცვალა საქართველოს სამეფო სახლის მეთაური, ბაგრატიონთა გვარის წინამძღოლი, მისი სამეფო უმაღლესობა, ბატონიშვილი




ნუგზარ პეტრეს ძე ბაბრატიონ-ბრუზინსკი

გუსამძიმრებთ ოჯახს და ბაგრატიონთა საგვარეულოს.

ვაჟა ნადირაშვილი, თინათინა მაისურაძე, მირაზ ლაქვიშვილი, მამია ჭუმბურიძე, ოთარ შონია, ოთარ კირვალიშვილი

სსოვნა

საქართველოს მეგობრებთან საზოგადოება ღრმა მწახარებით ვიუწყებთ, რომ გარდაიცვალა საგზაო დარღვის ღვანდომისლი მუშაკი, დამსახურებული ინჟინერი



როპეო ღვინიაშვილი

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

სავალალო სტატისტიკა ავტომობილისტრატეგია

2024 წლის საქართველოში 5866 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამის შესახებ ინფორმაციას საქსტატი შსს-ზე დაყრდნობით ავრცელებს. ავტოსაგზაო შემთხვევებს შორის 185 სიმთვრალის მიზეზით იყო გამოწვეული. წლის განმავლობაში ავტოსაგზაო შემთხვევას 444 ადამიანი ემსხვერპლა. 7587 ადამიანმა კი სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო.

2020-2024 წლებში ავარიების მაჩვენებელი ასეთია: 2020 წელს 4999 ავარია, 2021 წელს - 5863; 2022 წელს - 5469, 2023 წელს - 5594, 2024 წელს - 5866 ავარია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში ავარიებს 2215 ადამიანი ემსხვერპლა. 2020 წელს 450 ადამიანი გარდაიცვალა, 2021 წელს - 449, 2022 წელს - 430, 2023 წელს - 442, 2024 წელს - 454 ადამიანი.



კობა კობალაძემ დაღუპული მეომრების დადგინდა დაღის დღე მიულოცა



მეგობრების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა, გენერალ-მაიორმა კობა კობალაძემ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ლეიპტი მადლავაშვილის დაღის, ქალბატონ ლეილა მადლავაშვილის, აფხაზეთში დაღუპული ნოდარ გვრიტიშვილის დაღის, ქალბატონ ლალი გვრიტიშვილისა და 2018 წელს ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის

მიერ წამებით მოკლული არჩილ ტატუნაშვილის დაღის, ქალბატონ ნუსუდან ტატუნაშვილის დაღის დაღე მიულოცა.

კობა კობალაძესთან ერთად, ქალბატონებს, დაღის დაღე მიულოცეს წეროვნის გამგებელმა, გელა შერმალიძემ, სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ლევან ამირიძემ, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსმა ნათია ჯანაშვილმა, სამსახურის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს წარმომადგენლებმა.

„ჩვენ, კიდევ ერთხელ, პატივს მივავებთ და მადლობას გადაუხდით იმ ღირსეულ დედებს, ვინც ჩვენს ქვეყანას ღირსეული კაცები აღუზარდეს! ყველა დაღის ვულოცავ დღევანდელ დღეს! დედაშვილობის მაღლი ფარავდეს თითოეულ ჩვენგანს და ჩვენს ქვეყანას“, - განაცხადა კობა კობალაძემ.

კობა კობალაძემ, თანხმობა პირებთან ერთად, წეროვნაში, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირების მემორიალი მოინახულა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის, ბრძოლის ველზე დაცემული გმირების სსოვნას პატივი კიდევ ერთხელ მიაგო.



რუხის ქალბატონებს უფასოდ მოემსახურნენ

რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დაღის დღესთან დაკავშირებით, ქალბატონებს უფასო სამედიცინო კონსულტაციებით სარგებლობა შეეძლოთ. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კლინიკა მათ

კარდიოლოგის, მამოლოგის, გინეკოლოგის, ნეიროქირურგის, ქირურგის, თორაკოქირურგის, ანგიოქირურგის კონსულტაციებსა და ულტრაბგერით გამოკვლევებს უფასოდ სთავაზობს. რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო

პაციენტებს მთელი დღის განმავლობაში მოემსახურა

რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო მრავალპროფილური, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სახელმწიფო კლინიკაა, რომელიც რეგიონის

მოსახლეობას მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას აწვდის. კლინიკას მიღებული აქვს სამედიცინო პროცესების და პაციენტთა უსაფრთხოების გერმანულ სტანდარტებთან შესაბამისობისთვის KTQ საერთაშორისო აკრედიტაცია და ხარისხის მართვის სერტიფიკატი.

მარხვა სინანულისა და აღდგომა სიხარულისა

ილია მეორე მრევლს მიმართავს

საქართველოს საპატრიარქო მიტოვების კვირასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიმართავს აგრძელებს.



„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ შვილებს, მკვიდრთა საქართველოსათა და საზღვარგარეთ მცხოვრებთ“

მოწყალეობითა ღმრთისაითა კვლავ დადგა დიდმარხვის წინაღვე, დღე შენდობისა და ურთიერთ ცოდვათა მიტევებისა.

სხორად გვიჭირს ამ ნაბიჯის გადადგმა – სხვისთვის პატივების თხოვნა ან წყენის დაუწყებლობა, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მაგალითი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი, რომელიც ამქვეყნიად მოვიდა ჩვენი ცხოვრებისთვის, აღასრულა მრავალი სასწაული (რომლებიც სრულად რომ აღეწერათ, ქვეყანაც ვერ დაიტევდაო დაწერილ წიგნებს, – ბრძანებს მოციქული), განკურნა ბრძანის, მკვლავმეღნი, დაგრდომილი, კეთროვანი, აღადგინა მკვდარნი... იმედი, ნუგეში, სიხარული მოჰფინა მრავალთ, მაგრამ სწორედ იგი მიიჩნის მორთის მსახურად და უმალღესი და, ამავე დროს, დამამცირებელი სასჯელი – ჯვარზე გაკვრა და სიკვდილი მიუსაჯეს.

და ამ დროსაც კი მაცხოვარი მამა ღმერთს ავედრებდა იმ ხალხს, რომელმაც განირა და არ დაიცვა იგი და სთხოვდა, ეპატიებინა მათთვის ეს ბოროტება და არ მოეხსენებინა უსჯულოებანი მათნი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მსგავსი სულიერება არა გვაქვს, მაგრამ, ძალისამებრ ჩვენისა ასეთი ნაბიჯების გადადგმა ჩვენც გვმართებს, თუ გვსურს, ქრისტიანულად ვინოდებოდეთ, თუ გვსურს, მოჩვენებითად კი არ გვერქვას მორწმუნენი, არამედ რეალურად.

ღვთის გულისათვის, მოწყალენი ვიყოთ ერთმანეთის მიმართ, რათა ჩვენც შეგვიწყალოს უფალმა და მოგვიტეოს შეცოდებანი ჩვენნი.

მეც, მდამალი ილია II, კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა, მუხლმოდრეკით გთხოვთ შენდობას ყველას, ვისაც განწყენინეთ ნებსით თუ უნებლიეთ, ვისი თხოვნაც ვერ გავითვალისწინე, ვისი ტკივილიც ვერ გავითავისე... შემინდეთ და მაპატიეთ ყოველი. შევთხოვ უფალს, მეოხებითა ყოველთა წმიდათა მისათა, შემინდოს შეცოდებანი ჩემნი და მომხადლოს ძალა ღვთისა და თქვენი ერთგულებისა.

ასევე ვთხოვ ყოველდამოწყალე იესო ქრისტეს, მეოხებითა ყოველად-წმინდისა დედისა ჩვენისა ღვთისმშობლისათა, შეგინდეთ შეცოდებანი თქვენნი ნებსითნი და უნებლიეთნი; აღმოფხვრას ჩვენგან განკითხვის სული, შური, მტრობა და ღვარძლი, ყოველი ბოროტი საქმე და მოგმადლოს გული გონიერი, გული წმინდა და სული წრფელი, რათა უფალმან ღირს გვყოს, დაემკვიდროს ჩვენთანა და ჭეშმარიტების გზით წარმართოს ცხოვრება ჩვენი.

ყოველდღწმინდა სამებას მოგვანიჭოს მშვიდობა, მარხვა სინანულისა და აღდგომა სიხარულისა, ამინ!

ჯანსუღ კახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო



თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამორჩენილი ქართველი დირიჟორის, კომპოზიტორისა და მომღერლის, ჯანსუღ კახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გამართა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, დიდი მასშტაბის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამართულ კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი მასტრო ვახტანგ კახიძის დირიჟორობით და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, პიანისტი გიორგი ვაჩნაძე.

შესრულდა ლუდვიგ ვან ბეთოვენის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის N5 და სიმფონია N3.

ჯანსუღ კახიძის სადირიჟორო ჯიხი იტალიის ქალაქ მუსეტოში, ვერდის სახლ-მუზეუმში ინახება.



ეროსი მანჯგალაძის 100 წლის იუბილე იროვნულ არქივში

ლმების ვადასაღები მოედნებიდან, ფრაგმენტები კინოსიუჟეტებიდან, ფილმებიდან და სპექტაკლებიდან.

ეროსი მანჯგალაძე 1925 წლის 21 ოქტომბერს (დაბადების ჩანაწერის მიხედვით 3 მარტს) სამტრედიის რაიონის სოფელ ღანიში დაიბადა. იგი 1948 წლიდან სივლასის ბოლომდე იყო შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი და მის სცენაზე 20-ზე მეტ სპექტაკლში ითამაშა. 1959 წლიდან იღებდნენ კინოში. ქართულ მხატვრულ ფილმებში მან 25 პერსონაჟი განასახიერა. დაუვიწყარია მისი როლები სატელევიზიო სპექტაკლებსა და ფილმებშიც. სპორტული კომენტატორობა ეროსი მანჯგალაძის კიდევ ერთი პროფესია იყო. ამ მიმართულების განვითარებაში მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა.

ოსკარის რიგით 97-ე დაჯილდოება



ყველაზე მეტი, 5 ჯილდო შონ ბეიკონის Anora-ში აიღო. მეორე ადგილზე 3 ოსკარით The Brutalist გაიდა. 2-2 ჯილდოს მოპოვეზა Dune 2-ში, Emilia Perez-ში და Wicked-ში შეძლეს.

2025 წლის ოსკარის დაჯილდოების გამარჯვებული საუკეთესო რეჟისორის კატეგორიაში Anora-ს ავტორი, შონ ბეიკონი გახდა. მან ცერემონიაზე 3 ოსკარი მიიღო: საუკეთესო რეჟისორის, საუკეთესო ორიგინალური სცენარის და საუკეთესო მონტაჟის კატეგორიებში.

„საუკეთესო მსახიობი ქალის“ ნომინაციაში გაიმარჯვა მაიკ ელისონმა, ფილმისთვის „ანორა“. მედლისთვის ეს პირველი ნომინაცია და გამარჯვებაა. „საუკეთესო მეორეხარისხიანი

როლის შემსრულებელი მსახიობი ქალის“ კატეგორიაში გამარჯვებული ზომი სალდანი გახდა. მსახიობმა ჯილდო „ემილია პერესში“ შესრულებული როლისთვის მიიღო.

ედრინა ბრუნდი ოსკარის მფლობელი წელს მეორედ გახდა. მან ჯილდო „საუკეთესო მსახიობი კაცის კატეგორიაში“, The Brutalist-ში შესრულებული როლისთვის მიიღო. პირველი ოსკარი მსახიობმა „პიანისტი“ შესრულებული მთავარი როლისთვის დაიმსახურა.

2025 წლის ოსკარის დაჯილდოების გამარჯვებული „საუკეთესო მეორეხარისხიანი როლის შემსრულებელი მსახიობი კაცის“ კატეგორიაში ჰირან პალშინი გახდა. მსახიობმა ჯილდო A Real Pain-ში შესრულებული როლისთვის მიიღო.

ქალს თვალში კბილის ნანილი გადაუნერგეს!

მხედველობის აღდგენის უნიკალური ოპერაცია კანადაში

74 წლის გიულ ლეინი გახდა პირველი ადამიანი კანადაში, რომელმაც გაიარა ოსტეოლონტოკერატოპროთეზირება. ამის შესახებ CTV News იტყობინება.

ქირურგიული ოპერაცია გულისხმობს პაციენტის თვალში სპეციალურად მომზადებული კბილის ელემენტის იმპლანტაციას, რაც საშუალებას აძლევს მას აღადგინოს მხედველობა.

„პაციენტის თვალის შინაგანი ფუნქციონირება სრულიად ჯანსაღი და ნორმალური იყო, მაგრამ მას დაზიანებული ჰქონდა თვალის წინა მხარე იმ დონეზე, რომ იგი ნაწიბურთვანი გახდა და პაციენტი ვერ ხედავდა ამ თვალში“, – თქვა ოფთალმოლოგმა გრეგ მოლონიმ.

სულ ექვსი ასეთი ოპერაციის ჩატარება იგეგმება ვანკუვერის Mount St. Joseph Hospital-ში საპილოტე პროგრამის ფარგლებში, რომლის შედეგები წარედგინება Health Canada-ს შემდგომი პროცედურების დასაფინანსებლად.



გამომცემელი და მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაძე (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე მამუკა ვაშაკიძე (597-22-07-04);

შემოქმედებითი ჯგუფი: ალექო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, თათარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი რუსუდან ქობულაძე (577-77-27-17);

სტილისტ-კორექტორები: ნაირა აკველია, მათა ივრამაშვილი.

ოპერატორი შორენა გვილია.

დამკაბადონებლები გიორგი მახარაშვილი, არჩილ სიხარულიძე.

გამეთის განახლებული ლოგოს ავტორი გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამომგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზღვდილი, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იხეჭვება სტამბა „კოლორში“ ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაპ)070.4(479.22) C-323



რეკლამისთვის დაწავთ: 577-77-27-17 rkobulia29@gmail.com ნებისმიერი თანხა ჩარიცხვით ანგარიშზე: GE90BG000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 7 მარტს